„IVERIA“ NEWSPAPER AND THE FRON VALLEY

გაზეთი „ივერია“ და ფრონის ხეობა

David Akhlouri
Doctor of History,
Associate Professor of Gori State University.
Gori, Chavchavadze st., #53, 1400, Georgia,
+995599630900, datoakhlouri@gmail.com
https://orcid.org/0000-0002-1068-4042

Abstract. In the 19th–20th centuries, the Georgian press showed particular interest in the news from various villages of Georgia, which it presented to readers under columns such as “News”, “Town and Village”, “Province”, and others. In this respect, special emphasis should be placed on the socio-political and literary newspaper Iveria, edited by Ilia Chavchavadze. Each piece of information published in this newspaper, as a primary source, plays a crucial role in studying the past of the Froni Gorge during the respective period—especially if we take into account the fact that historical sources concerning the gorges of Kartli are not particularly diverse.

The paper analyzes correspondences collected about the villages of Froni, which discuss the everyday life of the local population, economic issues in the villages, problems of crop quality and housing, severe consequences of hailstorms, the absence of schools, and outbreaks of cholera among the population.

Special attention is given to social relations: the lives of nobles, clergy, and peasants, as well as the frequent cases of robbery in the Okoni community and their tragic consequences.

Finally, the paper addresses the agrarian movement that began in Upper Kartli in 1905–1907, which set different strata of society against each other in a deadly confrontation, leading to numerous murders, the destruction of families, and widespread looting.

Keywords: Froni Gorge, Gori District, education, nobility, serfs and peasants, priest, robbery, agrarian movement, plowing and sowing.

დავით ახლოური
ისტორიის დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძის ქ. #53, 1400, საქართველო,
+995599630900, datoakhlouri@gmail.com
https://orcid.org/0000-0002-1068-4042

აბსტრაქტი. XIX-XX საუკუნეების ქართული პრესა განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა საქართველოს სხვადასხვა სოფლებში არსებული სიახლეების მიმართ, რომლებსაც მკითხველს სთავაზობდა რუბრიკებით: „ახალი ამბავი“, „დაბა და სოფელი“, „პროვინცია“ და ა.შ. ამ მხრივ განსაკუთრებით ხაზგასასმელია ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით

გამოცემული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „ივერია“, სადაც გამოქვეყნებულ თითოეულ ცნობას, როგორც პირველ წყაროს, უდიდესი როლი ენიჭება შესაბამისი პერიოდის ფრონის ხეობის წარსულის შესასწავლად, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართლის ხეობების შესახებ არცთუ ისე მრავალფეროვანი ისტორიული წყაროები მოგვეპოვება.

ნაშრომში გაანალიზებულია ფრონის სოფლების შესახებ მოძიებული კორესპონდენციები, რომლებშიც საუბარია ამ ისტორიულ ქართულ კუთხეში დამკვიდრებული მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე, სოფლებში არსებულ ეკონომიკურ საკითხებზე, მოსავლის ვარგისიანობისა და დაბინავების პრობლემებზე, სეტყვისგან განადგურებულ ჭირნახულზე, სკოლების არ ქონაზე, ქოლერით დაავადებულთა მკურნალობაზე.

დიდი ყურადღება ეთმობა სოციალურ ურთიერთობებს: თავად-აზნაურობის, სასულიერო პირებისა და გლეხების ცხოვრებას, ოქონის საზოგადოებაში გახშირებულ ყაჩაღობის ფატებსა და მისგან გამოწვეულ სავალალო შედეგებს.

ნაშრომის ბოლოს საუბარია 1905-1907 წლების ზემო ქართლში დაწყებულ აგრარულ მოძრაობაზე, რომელმაც ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ დააპირისპირა საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, რასაც არაერთი მკვლელობა, ოჯახების აკლება და ძარცვა-რბევა მოჰყვა.

საკვანძო სიტყვები: ფრონის ხეობა, გორის მაზრა, სწავლა-განათლება, თავად-აზნაურობა, ყმა-გლეხები, მღვდელი, ყაჩაღობა, აგრარული მოძრაობა, ხვნა-თესვა.

შესავალი. ფრონის ხეობა მდინარე ფრონეების (აღმოსავლეთის, შუა, დასავლეთის, ალის, სურამის) ხეობების ზოგადი სახელწოდებაა. საქართველოს ისტორიულ ცხოვრებაში ამ ხეობების განსაკუთრებული როლი დიდწილად მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ და სტრატეგიულმა მნიშვნელობამ განსაზღვრა. სწორედ ეს ხეობები აკავშირებდა ერთმანეთს ლიხს იქით და ლიხს აქეთ მდებარე აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს.

ფრონის ხეობა უძველესი დროიდან ჩანს დასახლებული, პალეოლითის ხანის ქვის იარაღები გვხვდება წაღვლის, ტკოცისა და ყორნისის მიდამოებში. მიუხედავად ასეთი მდიდარი ისტორიული წარსულისა, ქსნის ხეობის მსგავსად (რაც არაერთხელ აგვიღნიშნავს), ფრონის ხეობის შესახებაც მწირი ისტორიული ცნობები მოგვეპოვება და მისი საფუძვლიანი შესწავლა ფრიად საშურ საქმედ გვესახება, მითუმეტეს დღეს, როცა ხეობის გარკვეული ნაწილი ოკუპირებულია. ფრონისპირა სოფლების ნამდვილი, გაუყალბებელი ისტორიის სრულყოფილად წარმოჩენა კი მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორად უნდა იქცეს წარსული რეალობის აღსაქმელად და კონფლიქტის დასარეგულირებლად. ამ მხრივ, ჯერ კიდევ შეუსწავლელ თითოეულ წყაროს თავისი განუსაზღვრელი ღირებულება აქვს, მათ შორის XIX-XX საუკუნეების ქართული პრესას და მის ფლაგმანს, ეროვნული იდეალების მედროშედ ქცეულ გაზეთ „ივერიას“, რომლის ფურცლებზე ხშირად ვხვდებით კორესპონდენციებს ფრონის ხეობის სოფლების შესახებ, რომლებიც საყურადღებოა ხეობის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული საკითხების შესასწავლად, ეთნოგრაფიული და რელიგიური წიაღსვლების წარმოსაჩენად, მოსახლეობის ყოველდღიური ყოფის გასაანალიზებლად.

მეთოდები. საკითხის კვლევისას ვიყენებთ თანამედროვე ფილოლოგიურ მეცნიერებაში აპრობირებულ მეთოდებს. ვახდენთ ფრონის ხეობის შესახებ არსებული პუბლიკაციების კრიტიკულ გააზრებას, რომლის დროსაც გამოყენებულია შინაარსობრივი ანალიზისა და დაკვირვება-შედარების მეთოდები. ანალიზის მეთოდი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ, ამა თუ იმ სოფელში არსებული ვითარება, მცხოვრებთა ეთნოგრაფიული ყოფა... დაკვირვება-შედარების მეთოდი გვეხმარება გავაანალიზოთ ფრონის ხეობაში მცხოვრები სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების სოციალური ურთიერთობები. ნაშრომის შეჯამება ხდება კვლევის სისტემური ანალიზით.

შედეგები. ნაშრომში შესწავლილია XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ფრონის ხეობის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრება, სწავლა-აღზრდის საკითხები, იმ დროისათვის არსებული სკოლების მდგომარეობა, ხაზგასმულია განათლების ახალი კერების დაარსების აუცილებლობა.

წარმოჩენილია ფრონის ხეობის მცხოვრებთა ეთნოგრაფიული ყოფა, სოფლების წინაშე მდგარი სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, მათი მიზეზები და აღმოფხვრის გზები.

ნაშრომში გამოქვეყნებული და გაანალიზებული პუბლიკაციები უნიკალური პირველწყაროა საკვლევი პერიოდის ფრონის ხეობის ისტორიის მთელი რიგი საკითხების ახლებურად წარმოსაჩენად.

მსჯელობა. XIX–XX საუკუნეების ქართული პრესა დიდ ყურადღებას უთმობდა მოსახლეობის ყოველდღიურ ყოფით პრობლემებს, ეს განსაკუთრებულად შეიძლება ითქვას ილიასეულ „ივერიაზე“, სადაც ხშირად იბეჭდებოდა სტატიები სასოფლო-სამეურნეო საკითხებზე, მოწეულ მოსავალზე თუ მოუსავლიანობაზე.

1890 წლის 4 აგვისტოს პუბლიკაციაში „ფრონის ხეობა“ ანონიმი ავტორი გვატყობინებს, რომ დასასრულს უახლოვდებოდა ჭირნახულის გალეწვის პროცესი და მოსავალი „შუათანა“ ანუ საშუალო იყო. გალეწვა, მარცვლის გამოცალკავების მიზნით პურეული მცენარეების დამუშავებას ნიშნავდა. მოსავალი ხარჯიანი ყოფილა, „მახობლითა და სოკოთი სავსე“. მახობელი ველური მცენარე იყო, დოლის პურის ყანაში სარეველასავით მორეული. გალეწვის დროს მახობლისა და ხორბლის თესლი ერთმანეთში ირეოდა, მიღებული ფქვილისგან გამომცხვარ პურს მოლურჯო ფერი დაჰკრავდა და სირბილეს დიდხანს ინარჩუნებდა. გალეწვის შედეგად დარჩენილი ნამჯა ანუ ბზე, რომელსაც საქონლის საკვებად იყენებდნენ, ნაკლები ყოფილა. ავტორი წუხდა, რომ უბზეობა ზამთარში ძალიან შეაწუხებდა გლეხკაცობას (ივერია, 1890 ა: 2). იმავე ნომერში საგაზეთო სტატია „ქართლი“ გვაუწყებს გვალვიან ზაფხულზე: „ქართლი იწვის სიცხეებით. საშინელი გვალვებია. მკათათვე ისე გავიდა, რომ ნამი ორჯერ-სამჯერ არ ჩამოვარდნილა, მხოლოდ 1 აგვისტოს პატარა წამოწვიმა და ისევ მალე გად(ა)იღო“. გვალვებს რთულ სიტუაციაში ჩაუყენებია სიმინდის ყანები და ვენახები, მთის ძირობაზეც კი მძიმე მდგომარეობაა და თუ ასე გასტანა, ჩვენი ქვეყანა დიდად დაზარალდებაო - ვკითხულობთ წერილში (ივერია, 1890 ბ: 2).

ქართლის მოსახლეობა არც წინა წელს ყოფილა მოწეული ჭირნახულით კმაყოფილი, რაც ჩანს „ივერიის“ 1890 წლის 4 თებერვლის ერთ-ერთ პუბლიკაციაში: „ბევრგან ჩივიან ჩვენთან უფულობასა და ქესატობას: ცოტა მოგვივიდა ჭირნახული, პური, თუ ღვინო, მაგრამ რაც მოვიდა, იმისი მყიდველიც არ არის, შარშან ერთი-ორად მეტს გვაძლევდნენ ყველაფერში და ეხლა ნახევრის მძლეველიც აღარსადა სჩანსო“ (ივერია, 1890 გ: 2).

სამაგიეროდ, ფრონისპირელთათვის ნაყოფიერი გამომდგარა მომდევნო 1891 წელი; როგორც ა. ფრონელი მოგვითხრობს, „ტურფა და მშვენიერი ფრონის ხეობა“ სრულიად კმაყოფილი ყოფილა თავისი ბედ-იღბლისა: „მოსავალი, ღვინოს იტყვი, თუ პურსა, უხვი

იყო და აბა სოფელს, რომელიც მარტო ხვნა-თესვას მისდევს და სხვა წყარო არა აქვს ცხოვრებისა, მეტი რაღა უნდა. ხერხიანად ისარგებლა ამ შესაფერის დროით ადმინისტრაციამ და გულმოდგინედაც შეუდგა დაცარიელებულის პურის მაღაზიების ხორბლით გავსებას. დიდი ხანია არ მინახავს ჩვენს სოფლებში პურის მაღაზიები ასე გაჭიკნილი, როგორც წელს. ჩვენი გლეხი უხვია და გამცემი, როდესაც რიგიანი მოსავალი აქვს, და საზოგადო საქმისათვის მცირედი გაცემის წინაშე უკან არ დაიხევს“ (ფრონელი, 1891: 2). ავტორს საილუსტრაციოდ სოფელ საღოლაშენის მაგალითი მოჰყავს, სადაც იმ დროისთვის, ცხრა კომლ გლეხს უცხოვრია და სასოფლო ბეღელი პირამდე გაულიცლიცებიათ. სულ ძველი და ახალი შესატანი ას ცხრა კოდი პური შემდგარა, ანუ 545 ფუთი. ფულადი ანგარიშით, შეგროვილი პური, დაახლოებით, ორმოცდაათი თუმნის ყოფილა. თუ მოსავალი შემდგომშიც ასეთი იქნება, ამ პატარა სოფელს იმდენი თანხა შეუგროვდება, რომ ადვილად გაისტუმრებს ყველა მიმდინარე სათემო და სახელმწიფო ხარჯს, ააგებს სკოლებს, შეძლებს მამულების ყიდვას და ბევრ სასიკეთო საქმის გაკეთებასო - იმედოვნებდა ფრონელი. ამასთან იგი გლეხებს მოუწოდებდა სასოფლო მაღაზიებში პურის შეგროვებაზე ეფიქრათ: „ამ ბრწყინვალე და მრავალ-მნიშვნელოვანი საქმის ვითარება, სამწუხაროდ, რიგიანად არ ეყურება ჩვენს გლეხებს. როდესაც ავუხსენი და დაწვრილებით ვუამბე... რა ძვირფასს განძს ინახავენ მომავლისთვის, როდესაც მიხვდნენ, რომ ობლად წამოყუნტული ბეღელი, ეხლა პურით გატენილი და შარშან-კი გამოფხეკილი, რა დაუშრეტელ და უკვდავების წყაროდ გადიქცევა იმათთვის, ჩემ მსმენელთა გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა. ბატონო ეგ რომ გვცოდნოდა, ცოლშვილს დავაგირავებდით და ყოველ წლიურს შესატანს-კი არ დავიშურებდითო. ამ ოცი წლის განმავლობაში ხომ ათი ათასამდე ფუთი პური გვექნებოდა და აბა მაშინ ჩვენ ბედს ხომ ძაღლიც არ დაჰყეფდაო“ - გადმოგვცემს საღოლაშენელი გლეხების განწყობას ავტორი. ფრონელის აზრით, მთავარი იყო გლეხს იმედი არ გაცრუებოდა, იგი დარწმუნებული უნდა ყოფილიყო, რომ სასოფლო მაღაზია მისი სრული საკუთრება გახლდათ და ვიღაც გადამთიელს არ ჩაუვარდებოდა ხელში, ამისათვის კი ადმინისტრაციას უნდა ეზრუნა.

მართალია წელს კარგი მოსავალი იყო, მაგრამ გლეხი ერთბაშად ათი წლის ვალს ვერ გადაიხდისო, მიგვანიშნებდა წერილის ავტორი და მაგალითისთვის მოჰყავდა საღოლაშენში მცხოვრები ერთი საშუალო შეძლების გლეხი, დემეტრე ხარაზიშვილი, რომლისთვისაც 15 კოდი პური (75 ფუთი) გადაუხდევინებიათ. ასეთი გადასახადი გლეხის ოჯახს პირქვე დაამხობს და მერე რაღა ეშმაკად უნდა მომავალი სიკეთე პურის მაღაზიისაო. ფრონელის ფიქრით, გლეხის ასე დამხობა არც უმაღლესი საგუბერნიო მთავრობის სურვილი იქნებოდა: „რა შვილი იქნება ის სიკეთე, რომელიც საცოდავი კაცის ცხარე ცრემლით მოირწყვის. ამისათვის სამაზრო ადმინისტრაცია ზნეობრივად მოვალეა, დიდი სიფრთხილე და გამჭრიახობა გამოიჩინოს, რომ მომავალს ბედნიერებას ვისიმე აწინდელი კეთილ-დღეობა არ ემსხვერპლოს. დარწმუნებული ვართ, ასეთი ამბავი არც იმას ეამება, ვინც ამ საქმის რიგიანის მსვლელობისთვის ჰზრუნავს“ (ფრონელი, 1891: 2).

დავუბრუნდეთ „ივერიის“ 1890 წლის 4 თებერვლის ნომერს, სადაც ოქონის საზოგადოებაა ყურადღების ცენტრში მოქცეული. საუბარია ფრონისპირელი თავადების ფალავანდიშვილების ტყეზე, რომელიც პატრონების უზრუნველობის გამო აქამდე ოხრდებოდა და ახლა შეკრული იქნაო. ფალავანდიშვილებს ტყის მოვლაზე ერთმანეთში პირობა დაუდვიათ, ამოურჩევიათ ტყის გამგე, ზედამხედველები და დაუარსებიათ კანტორა. სამწუხაროდ, „ამ კეთილის განზრახვის შესრულებას“ წინ აღდგომიან ხიზნები: „როგორც აქამდის გვისარგებლია, ისე უნდა ვისარგებლოთ... თუმცა ვიცით, ტყე ფალავანდიშვილებს ეკუთვნისო“.

თავადებისა და ყმების დაპირისპირების შესახებ მაზრის უფროსისთვის უცნობებიათ და გადაწყვეტილებას მისგან ელოდებოდნენ (ივერია, 1890 დ: 2).

როგორც ვიცით, ხიზანი ვინმესთან შეხიზნული, თავშეფარებული კაცი იყო, მამულის არ მქონე გლეხი, რომელიც მიწას იჯარით იღებდა და ამუშავებდა. სავარაუდოდ, ეს ხიზნები ფალავანდიშვილების მამულში დამკვიდრებული ოსები უნდა ყოფილიყვნენ, თავიანთი „სამართლით“ - როგორც აქამდე გვისარგებლია, ახლაც ასე უნდა ვისარგებლოთო.

„ფრონის ხეობის ამბებს“ „ივერიამ“ 1890 წლის 5 აგვისტოს ნომერშიც დაუთმო ადგილი. პუბლიკაციაში საუბარია ფრონისხეობელთა კიდევ ერთ საქმიანობაზე. კერძოდ, როცა სოფლის გლეხკაცობა სამეურნეო საქმეებისაგან თავისუფლდებოდა, ქვა-გუნდის საზიდლად იმერეთში მიემგზავრებოდა. „ჭიათურასა და ზესტაფონს შუა, მიდიან უფრო გლეხ-კაცები თითო და ოროლ ურმით. ერთი გზა ჩააქვთ ყვირილაში და მეორე, მესამე და მეოთხე გზა ჩააქვთ გომში“. ორ-სამ კვირაში თოთო ურემზე შემოსავალს იღებდნენ „თუმანს და თუმან-ნახევარ მოგებას, ხან ორ თუმანსაც“. ასეთი ქირავნობით გლეხები მადლიერები ყოფილან, განსაკუთრებით იმ წელს, როცა ჭირნახული ნაკლები მიიღეს, კალოებზე ლეწვა დიდხანს არ გაგრძელდა და გუთნის შებმამდე კაცი და საქონელი მომცდარი იყო (ივერია, 1890 ე: 3).

ფრონის ხეობაში გახშირებულ ქურდობასა და ავაზაკობაზე საუბარია 1991 წლის 19 სექტემბრის ნომერში. წერილი უშუალოდ სოფლებს საღოლაშენსა და ბრეთს ეხება. 12 სექტემბერს საღოლაშენში ქურდებს ერთი გლეხისთვის მოუპარავთ ხარი და ძროხა, რომლებიც ბაკის ღობიდან „უცნაური მოხერხებით“ გაუყვანიათ. მეორე ღამეს სოფლის მღვდელთან მისულან ოსურ ენაზე მოსაუბრე სამი ყაჩაღი, აუნგრევიათ ბაკის ღობის ფიცრები, ცხენისთვის თოკის ავშარა ამოუდვიათ, ასევე თოკი მოუბიათ „ერთის ხარისთვის კისერზე, ხოლო მეორე წვერი გამოემარხუშნათ მეორე ხარის ან ძროხის წასაბმელად“ და როცა საქონლის წაყვანა დაუპირებიათ, პატრონებს გაუგიათ და ქურდები საღოლაშენიდან გაქცეულან, იქიდან კი სოფელ ბრეთში აუვლიათ და ბაკიდან კიდევ ერთი გლეხის ხარი გამოუყვანიათ... ამ პერიოდის ქართულ პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან ირკვევა, რომ ქურდობას, ძირითადად, ჩრდილო კავკასიიდან ქართლში არცთუ დიდი ხნის წინ დამკვიდრებული ოსები ეწეოდნენ, მაგრამ მათ ხელშემწყობად ქართველები გვევლინებიან, რაზეც „ივერიის“ კორესპონდენტიც მიგვანიშნებს; „ჩვენსკენ ყველა იმ აზრისაა, რომ ქურდობას მარტო ოსები არა სწევენო; იმათ უწინამძღვრებენ ისევ ჩვენივე ახლო-მახლო მეზობლები, რომელთაც კარგად იციან ყველა აქაურის სოფლის გარემოება და ვითარებაო. ვინ არიან ეს მეზობლები და ან ვინა კადრულობს ამისთანა სამარცხვინო ხელობას, ამას დაბეჯითებით არავინ არ ამბობს“ (ივერია, 1891: 1).

ფრონის ხეობაში, რომ ქურდობა ასრე რიგად მოხშირებული იყო და მიზანში უმეტესწილად სოფლის მღვდლები ჰყავდათ ამოღებული, ამის შესახებ 1875 წლის „დროებაც“ მოგვითხრობდა. ავტორი ს. ზაქარიაძე სოფელ დირბში მოქმედ თორმეტკაციან ბანდაზე საუბრობს, რომლებიც მღვდელ სამადალოვს (სამადალაშვილს) დასხმიან თავს. მღვდლისა და მისი თანასოფლელების მონათხრობით, ქურდებს ლოგინისა და ერთი ხელი ძველი ტანისამოსის გარდა, ყველაფერი წაუღიათ (ზაქარიძე, 1875: 2). დირბის ამბავს ძალიან შეუწუხებია ახალგორის მუნიციპალიტეტის სოფელ იკოთში მცხოვრები რ. მამამთავრიშვილი, „აგერ ორმოცი წლისა ვსრულდები და ქართლელებისაგან ამისთანა მოვლინება და უბედურებაები არ გამიგონია: არამც თუ სულიერი მამის ხანჯლის წვერით ჩხვლეტა და გაგლეჯა, ქათმის მოპარვაც არ მსმენია. ქართლში ავაზაკობოდნენ მარტო ოსები და ისიც დიდი შიშით და სიფრთხილით, უდაბურ ტყის ვიწრო გზებზედ“, ქსნის ხეობაში მოსახლეობას ახლა ძალიან უჭირს, მაგრამ ამისთანა შემარცხვენელ საქმეს არავინ იკადრებსო (მამამთავრიშვილი, 1875: 2-3).

ქართლში სოფლის მღვდლებზე თავდასხმის შესახებ საუბარია 1890 წლის 23 მაისის „ივერიაშიც“. როგორც გაზეთი გვატყობინებს, ზემო ნიქოზში (დიდი ლიახვის ხეობა) „6

მაისს მოჰპარეს... ქურდებმა მღ(ვდელ) ა. ჩ-ძეს ცხენი და მღ(ვდელ) ი. დ-ლს უნაგირი. ეს ქურდები უთუოდ ზღუდერში იყვნენ ზღუდრობა დღეს. იქიდამ ჩამოიარეს ნიქოზში ღამე და გააცივეს სოფელი“ (ივერია, 1890 ზ: 1). ქურდების შესახებ მალევე შეუტყვიათ, თორემ კიდევ ბევრი რამ დაიკარგებოდაო - წერს ანონიმი ავტორი.

ფრონის ხეობაში ყაჩაღობის გახშირებული ფაქტები მომდევნო წლებშიც გვხვდება. როგორც ჩანს, „ეპიცენტრი“ ოქონის საზოგადოება იყო. „ივერიის“ 1893 წლის 3 ივლისის კორესპონდენციის ცნობით, ყაჩაღები ისევ გამოჩენილან სოფელში. „ორი კვირა არც-კია, რაც ჩვენს ტყეში გაიკეთეს ბინა და ხან ვის შეუთვლიან, ფული გამოგვიგზავნეთო, ხან ვისა“. 18 ივნისს თავად ალ. ფალავანდიშვილისთვის მოუწერიათ წერილი: „ჩქარა ფული გამოგვიგზავნეო, თორემ დღე იქნება თუ ღამე, ჩამოვალთ და მოგკლავთო“. ერთს წერილს მეორე მოჰყოლია და ფალავანდიშვილი იძულებული გამხდარა ეს ამბავი ადგილობრივი მთავრობისთვის ეცნობებინა. საჩქაროდ მოსულა ბოქაული რამდენიმე ჩაფრით (პოლიციელი, იგივე შიკრიკი), „მიიარ-მოიარა სოფელი და ისევ გაბრუნდა“. ავაზაკებს მოკლე ხანში ორი ურია (ებრაელი) გაუძარცვიათ და დაუჭრიათ, რასაც ყაჩაღების ბრბო უფრო გაუმხნევებია. წერილის ბოლოს ავტორი საჭიროდ თვლის, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს (ივერია, 1893 ა: 2).

1893 წლის 7 ოქტომბერს სოფელ ბრეთში მიუგნიათ ავაზაკთა ბუდისათვის, რაზეც გაზეთ „ივერიის“ იმავე წლის 16 ოქტომბის ნომერი მოგვითხრობს: წერილის შესავალში საუბარია იმ სავალალო მდგომარეობაზე, რაც ავაზაკთა თარეშის თანხვედრი იყო: „შესწუხდა ქვეყანა მრავალ ნაირ ავკაცობით. საქონელი ვერავის შეუნახავს“. ქურდობის მოსასპობად მაზრის უფროსს „ერთი ურიადნიკი“ (სამაზრო პოლიციის მოხელე) ნათაძე და ორი ჩაფარი გამოუგზავნია. ისინი ბრეთში უნდა დაბინავებულიყვნენ და საეჭვო კაცთათვის თვალყური ედევნებინათ. „რაღაც ბედზედ, სწორედ იმ დღეს, როდესაც ურიადნიკი ჩაფრებით მოვიდა ს. ბრეთში, ხმა გავრცელდა, საქონელი მოურეკნიათო“. პოლიციის მოხელები მაშინვე შესდგომიან საქონლის ძებნას. დაუჭერიათ ბრეთის მცხოვრები, მამასახლისის ნათესავი, სახელად სოსო, რომელიც თურმე წვერსა და ბრეთს შუა მიერეკებოდა საქონელს. „ურიადნიკი დაეწია და უთხრა, საქონელი შეაყენეო. სოსომ გინება დაუწყო. ამ დროს ერთმა აქაურმა თავადმა დაუძახა სოსოს, რევოლვერი დაჰკა გულშიო. მაგრამ ურიადნიკმა დაასწრო და მარცხენა ფერდში დასჭრა რევოლვერით. შეირაღებული თავადი ურიადნიკისკენ გაეჩქარა. ურიადნიკმა შესაშინებლად ორჯერ დაახალა რევოლვერი, მაშინ კი იკადრა თავადმა უკან დახევა და თავს უშველა“ (ივერია, 1893 ბ: 2). ნათაძეს ორი დღის განმავლობაში ნაქურდალი ცხრა სული საქონელი აღმოუჩენია. ქურდების ხელშემწყობი, თავადთან ერთად, ერთი ებრაელიც ყოფილა, რომელიც წერილში ურიადაა მოხსენიებული. ავტორი იმედოვნებდა, რომ მალე სხვა ავაზაკებსაც მიაგნებდნენ.

ფრონის ხეობის სოფელ კნოლევში ჩაფრებზე მომხდარ თავდასხმაზე მოგვითხრობს „ივერიის“ 1897 წლის 31 მაისის ნომერი. ამ თავდასხმის ორგანიზატორები გავარდნილი ყაჩაღი ილიკო ფუხაშვილი და მისი თანამზრახველები ყოფილან: „ოქონის მამასახლისმა ბ-ნმა ვანო ფალავანდიშვილმა ორი თავისი ჩაფარი გაჰგზავნა იქვე მახლობელ სოფელს კნოლე(ვ)ში. ეს ორნივენი ოსნი არიან, ერთი მიხა და მეორე არსენა. ნახევარი ვერსი გზა რომ გაიარეს, დახვდათ გზაზედ ილიკო ფუხაშვილი თავისის ორი ამხანაგით, ყაჩაღები ისხდნენ და ქეიფობდნენ... ჩაფრებმა გაქცევა ვეღარ მოახერხეს. რაკი ძალიან ახლო წააწყდნენ თავს, შიშისგან თოფები გადაყარეს, რითიც აცნობეს ყაჩაღებს, ჩვენ არას გიშავებთ და თქვენც ნურას დაგვიშავებთო, მივიდნენ და თავი დაუკრეს“ (ივერია, 1897: 2). ყაჩაღებს ორივე დაუწვენიათ და ისე უცემიათ, რომ მათი მორჩენა სათუო ყოფილა, თოფის კონდახით ჩაუმტვრევიათ თავ-პირი. განსაკუთრებით მიხა ჩაფარი გაუმეტებიათ, ისეა ნაცემი, ძნელად რომ უექიმოდ მორჩესო. ბოლოს ორივე შეუკრავთ, ჩაფრის ერთ ცხენზე ტომრებივით სიგრძეზე გადაუკიდიათ, ცხენისთვის ჯოხი დაურტყავთ და გზაზე

გამოუგდიათ. კაცებაკიდებული ცხენი ერთი საათის განმავლობაში დახეტიალობდა მინდორში, ხალხიც იქვე თოხნიდა, მაგრამ ვიდრე ყაჩაღები არ წასულან, მათი ცხენიდან ჩამოხსნა ვერავის გაუბედია. ავტორის დასკვნით, ყაჩაღებმა „ეს საქმე იმიტომ მოახდინეს, რომ არსენა ჩაფარმა მონაწილეობა მიიღო კოტე ფუხაშვილის დაჭერაში, მიხა ჩაფარს-კი იმას აბრალებს ფუხაშვილი, რომ იმან ასისთავი ავალიანი სოფელს ქვათეთრში დაგვასხა თავს და ჩვენი დაჭერა უნდოდაო“ (ივერია, 1897: 2).

ილიკო ფუხაშვილი გორის მაზრაში ცნობილი ყაჩაღი იყო, იგი ფიგურირებს „ქსნის ხეობის საქმეშიც“. „ივერიის“ 1897 წლის 29 ნოემბრის პუბლიკაციაში „წერილი ქსნის ხეობიდგან“ აღნიშნულია, რომ იმ დროის გამოჩენილი ავაზაკები ყოფილან არსენა ხუბაშვილი და მისი ამხანაგი ილო ვალიშვილი, რომლებიც ზახორის საზოგადოებაში (ლეხურის ხეობაზეა, ეკუთვნოდა ქსნის ერისთავებს) სამი წელი თარეშობდნენ. წერილის ავტორი (მოხევის ფსევდონიმით) მიგვითითებს ხუბაშვილის ახლო ურთიერთობაზე გორის მაზრის გამოჩენილ ავაზაკ ფუხაშვილთან, „რომელიც თურმე ხშირი სტუმარი ყოფილა ამ ხეობისაც“ (მოხევე, 1897: 3). ამ შემთხვევაში ფუხაშვილის სტუმრობის არეალად უნდა მივიჩნოთ ლეხურის ხეობა, თუმცა, გამორიცხული არაა, ასეთ ავაზაკს ქართლის სხვა ხეობებში, მათ შორის ქსანზეც ეთარეშა. ქურდობა ხომ ქართლის რეგიონში იმ დროისთვის ბევრს პროფესიულ საქმიანობად ჰქონდა ქცეული.

„ივერია“ განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა სკოლების მიმართ, რომლებიც უნდა დაარსებულიყო ან უკვე არსებობდა. XIX საუკუნის 90-იანი წლებში ქართლში გადაწყვეტილი ყოფილა ერთი ორ-კლასიანი სამრევლო და ორი ერთ-კლასიანი სკოლების დაარსება: „ფიქრად აქვთ, რომ ერთი დაარსდეს სამთავისში, ქსნის ხეობაზედ, მეორე არ იქნებოდა ურიგო დაარსებულიყო საბარათიანოში და მესამე - ან ფრონის ხეობაზე, ან დიდი ლიახვის მარჯვნივ მდებარე ერთ-ერთს სოფელში“ (ივერია, 1890 ვ: 1). ეს სოფლები იმიტომ შეურჩევიათ, რომ არცერთ მათგანში, არ არსებობდა საერო და სამრევლო სკოლები.

საუკუნეების წინ მოსახლეობის წინაშე მდგარ ურთულეს პრობლემად მწვავე ინფექციური დაავადება ქოლერა ითვლებოდა, რომელსაც XIX საუკუნის ბოლოს გორის მაზრის მთელ რიგ სოფლებში მკვეთრად უჩენია თავი. 1892 წლის 9 აგვისტოს „ივერიის“ პირველი გვერდის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ აღნიშნული ავადმყოფობის შესახებ პუბლიკაციებს ეთმობა, რაც კარგად მიგვანიშნებს იმ დროის საზოგადოების უმთავრეს სატკივარზე. უფრო მეტიც, როგორც ჩანს, გაზეთი თვითონ ჩადგომია სათავეში ქოლერისაგან დაზარებულთა დასახმარებლად და დავაადებასთან საბრძოლველად თანხის შეგროვებას. „უკვე მივიღეთ ორი მანეთი ბ-ნ გიორგი ჟურულისაგან. ამ ფულისა გვქონდა 488 მან. 35 კაპ. ამითი შესდგა 490 მან. 35 კაპ.“ - ვკითხულობთ „ახალი ამბავის“ რუბრიკაში (ივერია, 1892 ა: 1). იმავე გვერდში ვეცნობით ტფილისის გუბერნიაში სასანიტარო ნაწილის გამგებლის, როგორც გაზეთი მოიხსენიებს - „უგანათლებულესი თავადის“ პეტრე ალექსანდრეს ძე გრუზინსკის უწყებას, სადაც იგი გორის მაზრის სანიტრებსა და სოფლების საზოგადოებებს ატყობინებდა, რომ საჭირო წამლები და სადეზინფექციო საშუალებები გაგზავნილი იყო მაზრის მმართველობაში და სთხოვდა ყველას, საჭიროების შემთხვევაში, დახმარების მისაღებად ხსენებული მმართველობისთვის მიემართათ. იქვე საუბარია გორის მაზრის და, მათ შორის ფრონის ხეობის სოფლებში ქოლერით დაავადებულთა და გარდაცვლილთა შესახებ. მაზრის უფროსის ინფორმაციით, 4, 5 და 6 აგვისტოს გორში ავად გახდა 8, გარდაიცვალა 6; ბორჯომში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 3; ხცისში გარდაიცვალა 1; რუისში ავად გახდა 39, გარდაიცვალა 18; კარალეთში ავად გახდა 1; კირბალში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1; პატარა მეჯვრისხევში ავად გახდა 1; დიდ მეჯვრისხევში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 2; კასპში ავად გახდა 4; კასისხევში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1; სურამში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 3; ბრეთში ავად გახდა 10, გარდაიცვალა 4; ხოლებში ავად გახდა 4,

გარდაიცვალა 2; სამწევრისში ავად გახდა 13, გარდაიცვალა 7; სანებელში ავად გახდა 16, გარდაიცვალა 6; კეხისჯვარში ავად გახდა 11, გარდაიცვალა 4; ძოვრეთში (მზოვრეთში) ავად გახდა 3, გარდაიცვალა 3; ზღუდერში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 2; ყინივისში (ყინწვისში) ავად გახდა 2, გარდაიცვალა 2; ვარიანთში (ვარიანში) ავად გახდა 18, გარდაიცვალა 14; გრაკალში ავად გახდა 2 (ივერია, 1892 ბ: 1).

მონაცემები დაავადებულთა სიკვდილიანობის მაღალ შედეგზე მიგვითითებს, რაც ყველასათვის საყურადღებო უნდა ყოფილიყო. ქოლერა რომ სამი ათეული წლის მერეც ფრონის ხეობის სოფლების უმთავრეს პრობლემად რჩებოდა, ეს „სახალხო გაზეთის“ 1910 წლის 21 აგვისტოს ნომრიდანაც ჩანს. როგორც ავტორი (ფსევდონიმით დვანელი) წერს, ამისათვის ნიადაგი მომზადებული ყოფილა, რადგან სისუფთავეს არ იცავდნენ - ყოველ ფეხის გადადგმაზე ათასნაირ სიბინძურეს შევხვდებითო. დაავადების ხელშემწყობ ფაქტორად ასევე მიჩნეულია სიღარიბე და შიმშილ-სიტიტვლე. ქოლერა მძვინვარებდა ძვილეთში, სადაც 15 მცხოვრები უმსხვერპლია, ატოცში, ბრეძაში, ქვათეთრში და ოსებით დასახლებულ რამდენიმე სოფელში. მოსახლეობის აზრით, ქარელიდან დანიშნული ფერშალი ავადმყოფებს ვერ აუდიოდა, ამასთან, ხალხის ფიქრით, უვიცი და მოუმზადებელი ყოფილა. ქოლერის გარდა ფრონის ხეობაში გავრცელებული იყო ციებ-ცხელება და მუცლის ავადმყოფობა. აღსანიშნავია ისიც, რომ მოწვეული ექიმებისთვის გლეხს, სიძვირის გამო, ხარჯის გაწევა არ შეეძლო და ხშირად უექიმოდ რჩებოდა. აღნიშნულთან დაკავშირებით დვანელს ბრეთელი ავადმყოფის მაგალითი მოჰყავს: „სოფ(ელ) ბრეთში ძალიან შეწუხებული ავადმყოფი იყო და მოინდომეს პატრონებმა ექიმის მოწვევა. გაგზავნეს კაცი ცხენით ერთი საათის გზის მანძილზე სოფ(ელ) ქარელში. გაგზავნილ კაცს ქარელში ენახა ერთი ახალგაზრდა, ჯერ კურს დაუმთავრებელი მედიკი, სტუდენტი ა. ტ-ძე, რომელმაც მხოლოდ ექვსი მანეთის მიღების შემდეგ გამოსწია ავადმყოფისკენ. ამგვარად ექიმის ერთი „ვიზიტი“ და წამალი თუმანი დაუჯდათ ავადმყოფის პატრონებს, კიდევ კარგი იმ ჟამად სახლში ფული მოეპოვებოდათ. ჩვეულებრივ გლეხს ექვსი მანეთისა კი არა, ერთი მანეთის გადახდაც უჭირს“ (დვანელი, 1910: 3). ავტორი ასევე გულიტკივილით საუბრობს ქარელის მეაფთიაქეთა გულგრილ დამოკიდებულებაზე, ისინი, ხშირად, ახლო-მახლო სოფლებიდან წამლის მისაღებად მისულ გლეხებს თითქმის დილიდან საღამომდე ალოდინებდნენ.

1894 წლის 20 მაისის „ივერია“ სოფელ დირბში გავრცელებულ საქონლის ჭირზე მოგვითხრობს. 28 რიცხვიდან მოკიდებული (იგულისხმება აპრილი), მაისის 7-მდე დაავადებულა 9 სული, მომკვდარა - 3, მორჩენილა - 4, ავად რჩებოდა 2 სული. 7 მაისს დირბში მისულა ფერშალი მცხვედაძე, რომელსაც დაავადებული საქონლის პატრონთა თავლებში „გოგირდის ხრჩოლებით“ დეზინფექცია ჩაუტარებია, ამასთან, სოფელი მთლიანად გაუწმენდინებია ნაგვისგან და ხალხისთვის ურჩევია: „ვინიცობაა საქონელი მოგიკვდეთ ვისმეს, მკვდარი საქონელი ძლიერ ღრმად ჩაჰფალით მიწაშიო“ (ივერია, 1894 ა: 1). წერილის ბოლოს ყანების მშვენიერ მოსავალზეა ყურადღება გამახვილებული, თუ ცოტა გაგვიავდრდა, კარგი მოსავალი უნდა მივიღოთო.

„ივერიის“ იმავე ნომერში სოფელ მოხისის შესახებაც გვხვდება პუბლიკაცია. ანონიმი ავტორის ინფორმაციით, მოხისი გორის მაზრაში პურის უხვი მოსავლით ყოფილა განთქმული, მაგრამ ბოლო ცხრა წელი, გვავლიანი ამინდების გამო, ჭირნახული უზიანდებოდათ. „წრეულობით ძლიერ მშვენიერი ყანებია, მეტადრე „დოღლაურში“. იმედი გვაქვს ახლა-კი ცოტა ბედი გაგვიღიმებს, თუ ღმერთი შეგვეწია და ავდარი ჩქარ-ჩქარა მოგვივიდა, თუ არა და ჩვენი მტერი, ჩვენი ბედი უკუღმა დატრიალდება და ისეც გაღატაკებულებს, სული ამოგვხდებაო“ (ივერია, 1894 ბ: 1).

ქოლერისა და საქონლის ავადმყოფობისაგან განსხვავებით, ფრიად სასიამოვნო ინფორმაციებს გვაწვდის 1894 წლის 6 აგვისტოს „ივერია“ სოფელ ბრეთიდან. წერილი ახალი თაობის სწავლა-აღზრდასა და კულტურულ საქმიანობაში აქტივობას ეხება. „არც

ჩვენი სოფელი ჩამორჩა სხვა მხარის სოფლებს საერთო მისწრაფებით და სწავლა-ცოდნის შეძენის სურვილით - წერს ავტორი, ფსევდონიმით „ლ. ე.“ - აქ ბარე ორი წელიწადია, რაც ხალხს რაღაც მოძრაობა დაეტყო, სამწუხაროდ ამ მოძრაობას სასურველი შედეგი ვერ მოსდევს. აგერ რამდენიმე ხანია გლეხ-კაცობაში აღძრულია ლაპარაკი სასწავლებლის დაარსების შესახებ და ჯერ-ჯერობით ვერ დაუარსებიათ რიგიანი სასწავლებელი. მოთავეებად ამ საქმეში უჩნდებიან მცოდნე და შეგნებული ხალხი, რომელნიც ხერხიანად ჰმოქმედობენ გლეხ-კაცობაში, სასწავლებლის გარდა ბევრს სხვა საკეთილო საქმეებს აბედვინებენ. ამ მხრივ ყველაზე მეტი შრომა მიუძღვის ბ-ნს ვ. ავალიშვილს, უფრო-კი ბლ(აღოჩინ) მღვდელს გ. ედილაშვილს“ (ლ.ე., 1892: 3)... მამაოს მცდელობა არ დაუკლია სასწავლებლის გასახსნელად, დიდი ხანი ჩასჩიჩინებდა თურმე ხალხს სკოლის დაარსების აუცილებლობაზე, მაგრამ რადგან ღარიბ გლეხკაცობას საამისო ხარჯი ვერ აკისრებინა, თვითონ დაუთმია თავის ერთი ოთახი ბავშვებისთვის და სწავლა დაუწყებინებია. ხალხს ერთმანეთის მიბაძვით მიუყვანიათ შვილები სასწავლებლად და „აგერ წრეულობით უკვე 15 ბავშვი სწავლობს ამ სასწავლებელში. პატარა ბავშვები საშინელ სწავლის უნარს იჩენენ და მოკლე ხანში მშვენიერს წერა-კითხვას სწავლობენო“. ბავშვების მშობლები შვილების მეცადინეობით კმაყოფილები ყოფილან და ამის გამო მცირე გასამრჯელოსაც უხდიდნენ სოფლის მღვდელს. როგორც სწავლის საქმეს, ისე სხვა კეთილ წამოწყებას ყოველმხრივ მხარს უბავდნენ აქაური თავადიშვილები, მათი დახმარებით, 23 ივლისს სოფელში ორი წარმოდგენა გაუმართავთ: „წარმოადგინეს „და-ძმა“ გუნიასი და „ძუნწი“ გ. ერისთავისა. დანიშნულ დროს აუარებელი ხალხი შეიკრიბა იმ ადგილს, სადაც წარმოდგენა უნდა ყოფილიყო. მომეტებულ ნაწილად მოსულიყვნენ თავად-აზნაურნი მახლობელ სოფლებიდგან, რომელთაც დაეჭირათ ოთხი, თითო თორმეტ სკამიანი, რიგი. სკამებს უკან იყვნენ სკამეიკები და დასადგომი ადგილები. ეს ადგილებიც გლეხ-კაცობით იყო სავსე“ (ლ.ე., 1892: 3). წარმოდგენას მშვენივრად ჩაუვლია. მოსწავლე ყმაწვილებს კარგად შეუსრულებიათ თავიანთი როლები, გამორჩეულად კი ძუნწი კარაპეტას როლი - ვლადიმერ ფავლენიშვილს. ფრონისპირელი თავადიშვილი დამსწრე საზოგადოებას რამდენჯერმე გამოუწვევია სცენაზე „ტაშის კვრით და ვაშას ძახილით“. წარმოდგენიდან მიღებული შემოსავალი საღოლაშენის ეკლესიისთვის შეუწირავთ, რომელსაც, ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, გადაკეთება და გადიდება სჭირდებოდა (ლ.ე., 1892: 3).

ბრეთში მოღვაწე მღვდლის მიერ საკუთარ სახლში სკოლის გახსნა და მომავალი თაობის სწავლა-აღზრდაზე ზრუნვა გვახსენებს ქსნის ხეობის სოფელ ქსოვრისის ეკლესიის მედავითნის რომანოზ ჯავაშვილის გარჯას. მას ქსოვრისში სკოლის გახსნამდე მიუბარებია გლეხის ბიჭები და წერა-კითხვა უსასყიდლოდ უსწავლებია: „ეს ორი თვეა, რაც დააწყებინა სწავლა, და ძალიან გულმოდგინედ და მუყაითად ეკიდება ამ საქმეს; სხვათა შორის, რომ ნახოთ, გაგიკვირდებათ ბავშვების ზრდილობიანობა და წეს-რიგიანობა. ჩვენის მხრივ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ბავშვებს ძალიან ახალისებს, არა ჰღლის იმათ გონებას: სწავლას შესწყვეტავს ხოლმე, გამოიყვანს თავისს შეგირდებს ეზოში, ათამაშებს, გიმნასტიკას აკეთებინებს და აჭიდავებს“ (ქსოვრელი, 1898: 2). სასიამოვნო მოსასმენია ქსოვრელის შემდეგი პერიფრაზაც: „სადღაც წამიკითხავს: „შენს თავს რომ ასიამოვნო, ეს ადამი(ა)ნური სიხარულია. თუ სხვას ასიამოვნებ, ღვთიურს სუხარულს (სიხარულს - დ.ა.) იგრძნობო“. მე მგონი, სწორედ ის „ღვთიური სიხარული“ უნდა ეგრძნო ჩვენს რომანოზს, როდესაც ნახა ისეთი სიამოვნება დიდისა და პატარისა“ (ქსოვრელი, 1898: 2). უდაოა, რომანოზ ჯავაშვილის მსგავსად, თავისი საღვთო საქმით ღვთიურ სიხარულს ბრეთელი მამაოც იგრძნობდა.

„ივერიის“ ფურცლებზე ფრონის ხეობის შესახებ არაერთ საინტერესო ინფორმაციას ვხვდებით კავკაველის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილებში, რომლებიც მოვლენების მკაცრი შეფასებით გამოირჩევა.

1898 წლის 20 ივნისის ნომერში კავკაველი მოგვითხრობს ფრონეზე, როგორც ქართლის იმ კუთხეზე, სადაც საქართველოს სხვა კუთხეებისგან განსხვავებით, მკვიდრად იყო შენახული ძველებური პატრიარქალური დამოკიდებულება და კარჩეკეტილობა. „აქ ისევ სისრულით შენახულა ძველებური დამოკიდებულება ბატონსა და ყმას შორის, რომელსაც ქართლელი გლეხი დღესაც ვერ მოსცილებია. ეხლა მხოლოდ ის განსხვავება ეტყობა, რომ ბატონი რაც შეიძლება მეტს გამორჩეს, მეტი ისარგებლოს მისით. მაშ რა ჰქნას ბატონმა, ცხოვრება გაუჭირდა იმასაც და გლეხი-კი ისევ იმის მიწას ჩაჰბღუის და ერთი ბეწვისოდნად არ სცდილობს სხვა გზით რამე იღონოს. იმ დროს, როცა ჩვენი დედა-ქალაქი ტფილისი, ბათუმი, ან კიდევ ბაქო იმერლებითა და გურულ-მეგრელებით ივსება და ლუკმა პურს იქა ძიობს და საცხოვრებელს ჰშოულობს, ქართლელს გლეხს ეს ვერ მოუხერხებია, თუმცა ტფილისი იმაზედ უფრო ახლოა. მთელი ზამთარი და შემოდგომა ხელგაუნძრეველი სდგას და კერას შესცქერის ნაცარქექიასავით და გარედ-კი ფეხი ვერ გაუდგამს, სოფელს ვერ გასცილებია“ (კავკაველი, 1898: 3). რამდენად უსაქმოდ იყო მთელი „ზამთარ-შემოდგომა“ ფრონელი გლეხი, ეს, ალბათ, წერილის ავტორს უკეთ მოეხსენებოდა, თუმცა რთულია ბოლომდე დავეთანხმოთ, რადგან ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, როგორ მიემგზავრებოდნენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისაგან თავისუფალი ფრონელი გლეხები ზემო იმერეთში, საიდანაც, დამატებითი შემოსავლის მიზნით, ყვირილაში და გომში ურმებით ქვა-გუნდი გადმოჰქონდათ.

კავკაველი ფრონელების კარჩაკეტილობასა და თვალგაუხელელობას მიიჩნევს ქართლში და კერძოდ, ფრონის ხეობაში სასოფლო სასწავლებლების არ ქონის მიზეზად. საქართველოს სხვა პროვინციებში სოკოსავით მრავლდება სკოლები და აქ იმათს ნასახსაც ვერ ნახავთო. ავტორი იხსენებს ბრეთელი მღვდლის ედილაშვილის მეცადინეობასაც - სოფელში სასწავლებელი დაარსებულიყო, რომელსაც არ დადგომია საშველი: „ამას წინად ფრონის ხეობაზედ ს. ბრეთში მღვდლის ჩაგონებით საერთო კრებამ გარდასწყვიტა სკოლის დაარსება და საჭირო შენობის აგება, მაგრამ არ გაუვლია რამდენსამე თვეს, რომ თვითვე გლეხებმა თხოვნა მიართვეს, სადაც ჯერ არს, სკოლა არ გვინდა, ნუ დაგვიარსებთო. აქაურს გლეხს სკოლა მეტ ხარჯადა და ბარგად მიაჩნია და იქ შვილის მიბარებას ტყუილად დროის დაკარგვადა სთვლის“ (კავკაველი, 1898 ა: 3). ავტორი არც „ამტყუნებს“ ფრონელ გლეხებს, „რასაკვირველია, რომ ფრონელი გლეხი ასე იტყვის, რადგან იქაც კი, სადაც მთავრობის ფასით აარსებენ ქართლში სკოლებს, ცარიელებია თითქმის და ბავშვები არავის მიჰყავს სასწავლებლადო“. მაგალითისთვის მოჰყავს ტირძნისის, „ესრედ წოდებული „მეორე კლასიანი" სკოლა“, რომელშიც 60 მოსწავლე არც კი იქნება და ისინიც შორი მთებიდან მოსული ოსთა შვილები, ქართველობა ამ სკოლის მცირე ნაწილს შეადგენსო. კავკაველი აქაც იმერეთსა და გურიაში არსებულ სიტუაციასთან ავლებს პარალელს, სადაც სკოლებში 200-300 მოსწავლე ჰყავთ და მთავრობა იძულებულია დანარჩენ მსურველებს უარი უთხრასო. კრიტიკულია ავტორის დამოკიდებულება ქართლში ვენახების ფილოქსერისა და ყინვისაგან დაზიანებაზეც, რის მიზეზადაც ლიხსაქეთელთა გულგრილობასა და დაუდევრობას მიიჩნევს: „ყველგან სცდილობენ და ათას გვარ წამალსა ჰხმარობენ ფილოქსერასთან საბრძოლველად, ქართლში-კი ვერა ჰნახავთ თვით შეძლებულ თავადიშვილის მამულშიაც-კი. ქართლელს არ უნდა თითქოს განგებ გაახილოს თვალები და დაინახოს, რომ მამული ხელიდგან გამოეცლება, თუ ჩქარა არ მიჰხედა და არ უწამლა. მაგრამ ამას ვიღა სჩივის, შეიძლება მართლა-და შეძლება არა ჰქონდეს გლეხს უწამლოს თავისს ვენახს, მაგრამ ეს რაღა უბედურებაა, რომ ზამთარში ვერ დაუმარხავს ვენახი, ორი ბარის პირი მიწა ვერ წაუყრია, რომ ყინვისგან არ გაუხმეს და სამუდამოდ არ გამოესალმოს თავისს ვენახს. არა, აქ უფრო დაუდევრობა და უზრუნველობაა, ვიდრე უქონლობა და შეუძლებლობა“. როდის მიხედავს ქართლელი გლეხი შარშანდელი ყინვებისაგან გაოხრებულ სოფლის ვენახებს,

როდის გვეშველება, როდის გამოვალთ ძილიდან და გავახელთ თვალსო - აფხიზლებდა თავის თანამედროვეებს წერილის ავტორი (კავკაველი, 1898 ა: 3).

1898 წლის 29 ივლისს კავკაველი „ივერიის“ ფურცლებიდან კიდევ ერთხელ შეგვახსენებდა ფრონის ხეობაში სწავლა-განათლების მხრივ არსებულ რთულ მდგომარეობას: „იტყვიან ხოლმე, - აქა და აქ კუს ნაბიჯებით მიდის სწავლა-განათლების საქმეო. მაგრამ უბედურება ეს არის რომ ჩვენს ხეობაში კუს ნაბიჯითაც კი არ მიდის სწავლა-განათლების საქმე, თორემ ზოგჯერ კუს ნაბიჯსაც არა უშავს რა. ფრონის სამს ხეობაზედ - დიდსა, პატარასა და შუაგულში, არცერთი სასწავლებელი არ მოიძებნება, არც ერთი მკრთალი ლამპარი მაინც არის სწავლა-განათლებისა, რა არის ამისი მიზეზი, ნუთუ ხალხს მართლა არ შეუძლიან ერთი სკოლის შენახვა?“ - სვამს რიტორიკულ კითხვას ავტორი, თუმცა სიღარიბეს არ მიიჩნევს მიზეზად, თუ გლეხს შეუძლია დღეობასა და ნათლობა-ჯვრისწერის დროს 50-60 მანეთი დახარჯოს, ნუთუ სკოლისთვის ორის მანეთის გაღება გაუჭირდაო?! „ჩვენ თ(ვ)ითონ ვიცნობთ მრავალს ისეთს გლეხს, რომელთაც ბლომადა აქვთ ფული არამც თუ სახლში, გასესხებულიც-კი, მაგრამ სკოლისთვის, შვილის სასწავლებელში მიბარებისთვის ერთ კაპეიკსაც არ იმეტებენ. იგი მთელის წლობით მიწის სოროში იხრჩობს თავს და ხეირიანი სახლი ვერ დაუდგამს, რომ კაცს შეესვლებოდეს. არა, აქ შეუძლებლობა-კი არ არის მიზეზი, არამედ შეუგნებლობა და თვალ-გაუხელელობაა“ - წერს კავკაველი და გლეხებთან ერთად საყვედურით მოიხსენიებს სოფლის განმანათლებლებს: მღვდლებს, მამასახლისებს, რომლებიც, მისი აზრით, ზრუნავენ, ფიქრობენ, ირჯებიან, მაგრამ ხალხისთვის კი არა, მხოლოდ საკუთარი თავისთვის. მღვდელს ხომ შეუძლია ხუთი-ექვსი მოსწავლე მაინც იყოლიოს სახლში და ასწავლოს, მითუმეტეს მაშინ, როცა სასულიერო მთავრობა არაფერს იშურებს სკოლების ნივთიერად და ფულად დასახმარებლად, „უგზავნის უსასყიდლოდ წიგნებს, ქაღალდებს, ყარანდაშებს და ყოველს სამოსწავლო ნივთებს, ოღონდ-კი ხელი მოჰკიდოს ვინმემ ამ კეთილს საქმეს. მაგრამ ეჰ! განა ასეთი ღვთისნიერი კაცი გამოვა ვინმეო?!. (კავკაველი, 1898 ბ: 2-3).

კავკაველი წერილში სოფლის „ნასწავლ მამასახლისებსაც“ ახსენებს, რომლებიც ხალხს აღარ მოუსურვებია: „იმათ დიდი ხანია ჩაილულის წყალი დალიეს, ხალხმა ისინი აღარ ინდომა, ჩვენ ნასწავლი მამასახლისი რად გვინდა, უსწავლელებს უფრო კარგად მიჰყავთ საქმეო, ამ სამ-ოთხის წლის წინად, ნასწავლ მამასახლისებს რომ ირჩევდნენ, გვეგონა, - ეხლა მაინც არის კარგად წავა სოფლების საქმეო, მაგრამ, საუბედუროდ ხალხმა ნასწავლი მამასახლისები ვერ შეიფერა და განდევნა. თუმცა მოსალოდნელი იყო, ნასწავლი მამასახლისები დიდხანს რომ დარჩენილიყვნენ და ხალხს შესჩვეოდნენ, დიდს სარგებლობას მოიტანდნენ“ (კავკაველი, 1898 ბ: 2-3).

წერილი ბოლოს მაინც იმედიანად სრულდება. ავტორის ფიქრით, ხალხს მხსნელად თავადი კონსტანტინე ამირეჯიბი უნდა მოვლენოდა, რომელსაც, სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად, გადაწყვეტილი ჰქონია, საკუთარი ხარჯით სასოფლო-სამეურნეო სკოლა დაეარსებინა, რაც ფრონის ხეობას სწავლა-განათლებისკენ გაუკვალავდა გზას.

სოფელ ნულში დატრიალებულ ტრაგედიაზე მოგვითხრობს „ივერიის“ 1899 წლის 15 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებული კორესპონდენცია, რომლის ავტორიც ვ. ფრონისპირელი გახლდათ. წერილის დასაწყისში საუბარია 1 ოქტომბრის საღამოს სოფელში გაჩენილ ხანძარზე: „ღვინობისთვის პირველს, საღამოს ჟამზე, ქვეყნის მნათობი იქვე მთის უკან უკვე ჩასვენებულიყო, ფრინველებსაც შეეწყვიტნათ ჟივილ ხივილი და ხალხიც მიბინავებულიყო თავ-თავიანთს სახლებში. ამ დროს მყუდროება სოფლისა დაარღვია ზარის ხმამ, რომლის ხმაზედაც გამოცვივნულიყვნენ გარეთ სოფლელები და დაენახათ, ცეცხლის ალი ჰაერში აქეთ-იქით როგორ აწყდებოდა ზუზუნა ქარის საშუალებითა. ხალხს არ შეეძლო ეშველა რამე, რადგან ცეცხლი გაძრიელებული იყო და საშოვარი არსად იყო“. წერილში ჩანს არა მხოლოდ სოფელ ნულის მოსახლეობის, არამედ მეზობელი სოფლების სოლიდარობაც დაზარალებულ თანამოძმეთა მიმართ, რაც

ოდითგანვე გახლდათ ქართველი კაცის ხასიათის მთავარი ნიშა: „ხალხი ს. არკნეთიდგან და ავწევიდგანაც (ავნევიდან - დ.ა.) მოვიდნენ, მაგრამ ვერც იმათ გააწყეს-რაო“. ხანძრისას მახარობლიძეების ორი სახლი ისე დამწვარა, ვერაფერი გადაურჩენიათ. სახლის პატრონები ვანო და გიორგი მახარობლიძეები იყვნენ. „ვანო მახარობლიძეს კიდევ რა უშავს, იმას კიდევ დარჩა სახნავ სათესი მიწები მაინც, მაგრამ საცოდავმა გიორგი მახარობლიძემ რაღა ჰქნას, რომლის ქონებას შეადგენდა ერთად ერთი ცული და სამი კოდი პური, რომელიც ცეცხლის მსხვერპლი შეიქმნა. დარჩა ცოლი და ხუთი ქალი მშიერ-მწყურვალენი. აქამდის მოხუცებული გიორგი ბარტყებივით ზრდიდა შვილებს, შოულობდა იმდენს, რომ თავი ერჩინათ დღიურათ. ზამთრისთვის რის წვა და დაგვით იშოვნა სამი კოდი პური; ახლა აღარც პური, აღარც ლოგინი, აღარც ცული და აღარც სახლ-კარი“ - სწუხს წერილის ავტორი გიორგის გასაჭირს, რომლის საცოდავი შვილები ერთ-ერთ იქაურ აზნაურს (წყაროში მითითებულია მისი ინიციალები - ნ-ბ-შვილი) მიუღია სამოწყალოდ. თვითონ გიორგი კი კარდაკარ დადიოდა თურმე და პურს თხოულობდა. გლეხებიც უტეხავდნენ პურს და აძლევდნენ, რითაც ვაი-ვაგლახით აკმაყოფილებდა წვრილ შვილებს. საბძლის კუთხეში მიმჯდარი მისი მეუღლე თეკლე კი მთელი დღე თავის გაჩენის დღეს დასტიროდაო...

მახარობლიძეების კერაზე გაჩენილი ხანძრის მიზეზი გიორგის ბიძაშვილის ვანოს მიერ მარანში დანთებული ცეცხლი გამხდარა. ვანო რაღაც საქმისთვის გარეთ გამოსულა, ცეცხლი ჯერ იქვე მდგარ ძველ კიდობანს მისწვდომია, კიდობნიდან - თაროს... გიორგის მხოლოდ გარეთ გამოსვლა მოუსწრია ცოლშვილთან ერთად. იგი იმ დროისთვის ოთხმოც წელს მიღწეული ყოფილა. როგორც წერილის ავტორისთვის უთქვამთ, მონაწილეობდა „ახალციხის და შამილთან ომში“. შამილის წინააღმდეგ განსაკუთრებული ვაჟკაცობაც გამოუჩენია... ხანძრის მერე მოწყალების მთხოვნელი გიორგი იხსენებდა თავის წარსულს და ჯოჯოხეთში გრძნობდა თავსო. წერილის ბოლოს რუსულ ენაზე მითითებულია მისამართი: „Въ м. Цхинвали, селение Земо Никози, священи. Отцу Илариону Касрадзе“ (ფრონისპირელი, 1899: 2-3), სადაც შეიძლებოდა შემწეობის გაგზავნა.

XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ფრონის ხეობის შესახებ „ივერიაში“ იბეჭდებოდა პუბლიკაციები დუშიკოს ფსევდონიმით.

1899 წლის 14 ოქტომბერს გამოქვეყნებული წერილი ხეობის სეტყვისაგან დაზარალებაზე მოგვითხრობს. ოთხი თვეა, რაც სეტყვა იყო, დიდ გაჭირვებაში ჩავარდნენ გლეხობა და თავადაზნაურობა, შემწეობა კი ჯერ არსაიდან ჩანსო. სამწუხარო სანახავი ყოფილა კალოობის დროს დასეტყვილი სოფლები, აღარც კალო ჩანდა თურმე, არც „ოროველას“ ხმა ისმოდა და არც მინდორში „ჰოოპუნას“ ძახილი. ავტორს დაცარიელებული სოფლები იმ დროს მოაგონებდა, როცა მოსახლეობა კარს მომდგარ მტერთან მიდიოდა სომრად. კავკაველის მონათხრობისაგან განსხვავებით, რომელიც ფრონისპირელ გლეხებს სიზარმაცესა და გულგრილობას მიაწერდა, წერილის ავტორი ლუკმა პურის საძიებლად ფრონელების მიერ სახლ-კარის დატოვებასა და სხვაგან წასვლაზე საუბრობს: „მართლაც ყველანი, ვისაც-კი მკლავი ერჩოდა, საბრძოლველად წავიდნენ სხვაგან ლუკმა პურის საშოვნელად. მხოლოდ-კი სოფლებში შეგხვდებოდათ მოხუცებულნი და ისინი, ვისაც მუშაობა არ შეეძლოთ. ყველას სასყიდელი გაუხდა პური, ღვინო, საზამთრო სანოვაგე და საქონლის საკვები. ბევრმა გაჰყიდა ძროხა, კამეჩი, ხარი. გაიძახოდნენ, რომ გლეხებს შემწეობაც მიეცემათ და სახელმწიფო გარდასახადიც ეპატიებათო, მაგრამ შემწეობის მაგიერ გარდასახადი გააწერეს და უკანასკნელ ჭილობებს უყიდიან. ამ საწყლებს რიგიანი პატრონი და ყურის მგდებელი არავინა ჰყავთ ჯერ. თავად-აზნაურობაც დიდს გაჭირვებაში არის. ეგონათ, ბანკიდგან შემწეობა მოგვეცემაო, მაგრამ ჯერ კი არაფერი სჩანს“ (დუშიკო, 1899: 3-4).

წერილში მითითებულია სეტყვისაგან დაზარალებული სახნავი მიწების რაოდენობაზე, „საიდგანაც სრულებით არა შემოვიდა რა“, ოქონაში დაზარალებულა 900

დესეტინა (რუსული საზომი ერთეული, უდრიდა 2,16 მეტრს), მუღრისში - 150 დესეტინა, სხლითში - 150 დესეტინა, კნოლე(ვ)ში - 400 დესეტინა, ავლევში - 500 დესეტინა, ცერონისში - 700 დესეტინა, თამარაშენში - 100 დესეტინა, ბრეძაში - 600 დესეტინა, საციხურში - 300 დესეტინა, აბისში - 300 დესეტინა, ბერძენაულში - 100 დესეტინა, ფრინევში - 100 დესეტინა. სულ 4,300 დესეტინა. ზარალი 172, 000 მანეთის ყოფილა.

ავტორი გულისტკივილთან ერთად წყენასაც გამოხატავს თანასოფლელთა ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულებაზე: „სოფ კნოლე(ვ)სა და საზოგადოდ ამ ჩვენს ხეობაში სასოფლო მეურნეობას რომ ხელი მოჰკიდოს კაცმა, ძნელია. აქ სხვის საკუთრებას პატივს არა სცემენ და იმას სცდილობენ, რომ როგორმე მეზობელს ზარალი მისცენ. თავდაპირველი ხელისშემშლელი მეურნეობისა ის არის, რომ შინაური საქონელი: ცხენი, ღორი, კამეჩი, ძროხა ყველას თავისუფლად და უმწყე(მ)სურად ჰყავს გაშვებული. გარდა ამისა ვენახის ღობეებს უტეხენ ერთმანეთს, ძალათი საქონელს შიგ ურევენ და სხვა. მეტადრე სოფელი კნოლე(ვი)არის ამოვარდნილი აქაურ თავადიშვილების საქონლისაგან“ (დუშიკო, 1903: 2).

წერილში საუბარია გორის მაზრის მემამულეების საამხანაგო საწყობის განყოფილებაზე, რომელიც კნოლევში 26 სექტემბერს გაუხსნიათ და უკურთხებიათ კიდეც. კურთხევას დასწრებიან გორის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი, თავადი ბაგრატიონ-დავითაშვილი, ამხანაგობის ადმინისტრაციის წევრები და თავად-აზნაურები. განყოფილება რიგიანად ყოფილა გამართული, „ვაჭრობა, რაც შეეფერება წრევანდელ წელიწადს, გვარიანად მიდის, ხარჯს გარდა მოგება 10% რჩება. დიდი შეღავათი მოგვცა საამხანაგო საწყობის გაღებამ ყველას. ყველა საქონელი, რაც-კი არის, ქალაქის მაზანდაზედ იყიდება და ზოგი ქარხნის მაზანდაზეა. მაგალითად, გირ(ვანქა) ნავთი 3 კაპ., გირ(ვანქა) შაქარი 16 კაპ., ფუთი მარილი 35 კაპ., გირ(ვანქა) საპონი 9 კ., ათი კოლოფი სპიჩკა (ასანთი - დ.ა.) 8 კ. და სხვ. მარტო ის რად ღირს, რომ ჩარჩს მედუქნეს კარზედ აღარ მივადგებით, ხვეწნას აღარ დავუწყებთ?“ - წერს ავტორი (დუშიკო, 1903: 2)..

ოქონის საზოგადოების კანცელარია სოფელ კნოლე(ვ)ში უნდა ყოფილიყო; საზოგადოებას სურვილი და იმედიც ჰქონია კნოლევში სასოფლო ქსენონის (საავადმყოფოს) გახსნისა.

ფრონის ხეობაში მოსულ სეტყვაზეა საუბარი დუშიკოს 1903 წლის 19 მაისის პუბლიკაციაშიც, ავტორი იხსენებს ოთხი წლის წინანდელ ამბავს: „ეს მეორედ მოვესწარი ამისთანა სეტყვას, ერთი იყო 1899 წ(ლის) 2 ივნისს, რომელმაც მთელი ხეობა ძირიანად ამოაგდო და მეორეც ახლა. მაშინ აღდგომას რთვილმა წაგვახდინა და ჩვენც ამაზე მეტი აღარ გვინდა, თავად ხალხი ისეც დაბეჩავებულია და ახლა ხომ სულ წყალ-წაღებულნი შეიქმნაო“ (დუშიკო, 1903: 2). ამჯერად სეტყვა 5 მაისს მოსულა. წერილის ავტორი სოფელ ცერონისში შესწრებია იმ უბედურებას, რომელიც ფრონის ხეობას დატყდომია თავს: „საათის პირველი იქნებოდა, დაიწყო წვიმა, მოჰყვა წვრილი სეტყვა, დროგამოშვებით გადაიღებდა ხოლმე, ყველას გული გვიფანცქალებდა, რომ ჩვენი სარჩო საბადებელი ხელიდან არ გამოგცლოდა. ვნახოთ, მოუხშირა სეტყვამ, ციდან წამოვიდა შავი სამგლოვიარო ღრუბელი, ამოიარა თამარაშენი და დააყარა ქათმის კვერცხის ოდენა, სახლის სახურავებს ისე ხვდებოდა, თითქოს თოფს ისვრის ვინმეო, ისე მოიღებდა ჭახანსა, რომ გულ-გასაგმირავად მოქმედებდა ადამიანზედ, სახლის ყავრები, როგორც ბადე, ისე დახვრიტა. ყველა სტიროდა და ღმერთს შესთხოვდა, შეეჩერებინა ეს რისხვა ცისა. სახლებს ზანზარი გაჰქონდა, სამგლოვიარო ზარის ხმა ისმოდა, სანახიროდან საქონელი ღრიალით მორბოდა სოფლისკენ, ხეების ტოტები ჩამოლეწა, ვაზი სრულიად ჩაბეგვა. წვრილ-ფეხს, ნუღარ იტყვით, რასაც მოასწრო, იქვე სული გააყრევინა. საათი და ათი წუთი იყო ეს ღვთის რისხვა, ისე დასდო თეთრად, გეგონებოდათ თოვლი სდევსო.

მოვარდა ატოცის ხევა, შეუვარდა სახლებში მცხოვრებლებს და ერთი წიოკობა და ვაი-ვაგლახი ასტყდა; ყველა შველას თხოულობდა და მშველელი ვინღა იყო? ყველას

თავისი თავი გასჭირვებოდა.

სამის ნახევარი იქნებოდა, ვეშურებოდი კნოლევისკენ, რომ ჩემი საცხოვრებელი მენახა, ამოვიარე ავლევში და, ის თქვენმა მტერმა ნახოს, რაც მე აქ ვნახე, ისევ ის სურათი წარმომიდგა, რაც ცერონისსა და თამარაშენში იყო (თამარაშენიც სულ თეთრად იყო დაფარული).

მოველ კნოლევში და ვაი ამ სანახაობას; აქ ოცი წუთი ყოფილიყო სეტყვა, მაგრამ უფრო (მ)სხვილი, ბატის კვერცხის ოდენა გამოვიდოდა ზოგიერთი. ერთი სეტყვა გამოსწონეს და ნახევარ გირვანქას ორი მისხალი აკლდა. აქ ისე არ იყო წამხდარი ჭირნახველი (ჭირნახული - დ.ა), როგორც ცერონისში.

რაღა თავი შეგაწყინოთ, ამ ერთის საათის წინად ფრონის ხეობა ჰყვაოდა და მხიარულობდა მოსავლის იმედის ჭირნახულით, ვენახით და ხილით, ახლა-კი ყველას თავ-პირი ჩამოსტირის“ (დუშიკო, 1903: 2). რთულია იმ სურათის წარმოდგენა, რასაც ავტორი აგვიღწერს. სამწუხაროდ, ასეთ ამინდებს ხშირად მოჰყოლია ტრაგედია, ადამიანური მსხვერპლი, რის მაგალითადაც შეიძლება მოვიყვანოთ ახალგორის სოფლები მზვარეთი და წიფლისწყარო. 1910 წლის სამ ივლისს ენით გამოუთქმელი უბედურება დატრიალებულა ქსნის ხეობის ამ პატარა სოფლებში. „სახალხო გაზეთის“ 13 ივლისის ნომერში გამოქვეყნებული წერილის ავტორის (ფსევდონიმით ქსნელი) მონათხრობით: „საზღაპრო ნეშტის ოდენა სეტყვამ და არა ჩვეულებრივმა ნიაღვარებმა თავზარი დასცეს ამ ხეობას. რამდენსამე სოფელს ვენახი, ბოსტნეული თუ ჯერათ მოუმკალი პური, ქერი, მიწის პირით განერთხა, უფრო მეტი სრულიად წალეკა, ისე რომ რამდენიმე სოფელში სამანიც აღარა ჩანს ყანისა, აბა რა სიკეთე დაეყრებოდა ადამიანის ნამუშევარს, როცა გარეშემო ტყეები თითქმის ჩაიჩეხა, ჩამოიყვლიფა, ასწლოვან მუხებს ვებერთელა ტოტები შამფურივით ჩამოეწვეთათ და ფოთლის ნახვა ხეზედ ნატვრით სანატრელიღაა. არამც თუ კარმიდამოზედ, მინდვრებში, თვით ტყეშიაც ბალახის ღეროსაც ვეღარ ნახავთ. გაისმის ყველგან ვაი და ვუი, ოხრავს დიდი და პატარა... რომელი ერთი აიტანოს, ჭირნახულის დაკარგვა, ვენახების განადგურება, სახნავების წალეკვა, თუ პირუტყვი საქონლის პირში ჩალის გამოვლება. მწარეა ეს საერთო სურათი ამ სოფლებისა, მაგრამ უფრო დამტანჯავია ხვედრი სოფელ მზვარეთისა და წიფლის წყაროსი, რომელთაც ბუნებამ არ აკმარა ეს საერთო დასჯა და მოითხოვა ადამიანთა და პირუტყვთა მსხვერპლი“ (ქსნელი, 1910: 3).

ნიაღვარს ადამიანთა მსხვერპლი სწორედ ამ სოფლებში მოჰყოლია. მზვარეთში მცხოვრები ალექსი თვაურის სახლის უკანა კედელი და სახლის წინა ფიცრული გაუგლეჯია, გაუნგრევია საქონლის სადგომად განკუთვნილი ბაკის წნულიც და იქვე ახლოს აბობოქრებულ სხვა ნიაღვარს შეერთებია. ამ დროს სახლში ყოფილა დედა სამ პატარა შვილთან და მაზლიშვილთან ერთად: „ნიაღვრისაგან სახლიდგან გამოტაცებული დედა შემთხვევით შემოეხვია დერეფნის ბოძს, და როგორც იყო ცოცხალ მკვდარი გადარჩა. ქორფებიდგან სამი ერთი დედისა როგორც იყო იპოვნეს სახლშივე ჭერამდენ დადებულ სეტყვა-ყორეს ქვეშ. მეოთხე კი ჯერ არა სჩანს. გამწარებული ამისი დედა ასდევს-ჩასდევს ხევს და მისტირის თავის ქორფას. ამ გვარად ოთხი მსხვერპლი ერთი ოჯახიდან“ (ქსნელი, 1910: 3).

უდიდესი ტრაგედია დატრიალებულა მეზობელ სოფელ წიფლისწყაროშიც, საიდანაც „ნიაღვარმა მოიტაცა ახალგაზრდა მენახირე. იპოვეს მკვდარი. აქვე ნიაღვარისაგან მოტაცებულია სამი კამეჩი. სეტყვა-ნიაღვრისაგან დაღუპულ შინაურ ფრინველობა ხომ ასობით არის“ (ქსნელი, 1910: 3).

წერილის ავტორი თვითმხილველი ყოფილა ქსნის ხეობელთა ამ მძიმე ხვედრისა, იგი სხვა გაზეთების რედაქციებს თხოვს, გადაიღონ ეს ცნობა და გაავრცელონ, რათა საზოგადოებამ დახმარება აღმოუჩინოს უსარჩოდ დარჩენილ თანამოძმეებს.

ფრონის ხეობის შესახებ გამოქვეყნებული პუბლიკაცის ავტორიც ითხოვდა დაზარალებულთა დახმარებას, საჭიროა კომისია შედგეს და ცნობაში მოიყვანოს ხალხის

ზარალი, ხალხს შველა ეჭირვებაო (დუშიკო, 1903: 2).

ფრონის ხეობის შესახებ „ივერიაში“ დაბეჭდილი წერილებიდან თავისი ისტორიული მნიშვნელობით ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ 1909 წელს გამოქვეყნებული წერილების ციკლი, სადაც ნაჩვენებია, თუ როგორ მიმდინარეობდა 1905-1907 წლებში გლეხთა აგრარული მოძრაობა ზემო ქართლში. ინფორმაცია დაგვიანებით დაუბეჭდავთ, რასაც, როგორც შესავლიდან ვიგებთ, თავისი მიზეზი ჰქონდა - მკითხველს დავპირდით ქრონოლოგიურად დალაგებული მოძრაობის მოთხრობას, და რადგან უკვე დიდი დრო გავიდა, ახლა ვბეჭდავთ და ეს ფაქტი თავად-აზნაურებსა და გლეხებში ურთიერთობებს აღარ გაამწვავებსო. თუმცა, მეტი სიფრთხილისთვის, ზოგიერთი სოფლისა და თავადების სახელები ინიციალებითაა მოცემული.

1905 წლის იანვარში დაწყებულა მითქმა-მოთქმა სოფლებში ღამით ხალხის მიერ ყრილობების ჩატარებისა და იქ მოქადაგეთა გამოსვლის შესახებ.

თებერვალში სოფელ ფცაში გადამწვარა თ-დ (თავადი) დ. ა.ბ.-ს სახლი და კარმიდამო. შემდეგ გარკვეულა, რომ ცეცხლი შიგნიდან გაჩენილა. თავადის ჩაჩანს თოფის სროლა დაუწყია და ცეცხლის ჩასაქრობად მისული მოსახლეობა ახლოს არ მიუშვია.

სოფელ ნ-ში წასულან ღალის ასაკრებად თ-დ (თავადები) ს. ი. და ნ. ფ.-ბი, მაგრამ სოფელში არ შეუშვიათ, შეტაკება მომხდარა და გამოუდევნიათ.

მარტში, გაზაფხულის დადგომასთან ერთად განახლებულა სტიქიური აგრარული მოძრაობა. თ-დ (თავად) რ. ა.-ს სახლისთვის ცეცხლი წაუკიდებიათ, მაგრამ პატრონებს მალევე გაუგიათ და გადაურჩენიათ.

სოფელ ა-ოში თ-დ (თავად) ნ. ბ.-ს მივარდნიან გლეხები კეტებით, ქვებით და შეძახილით: „გაუმარჯოს ერთობასო“. თავადი ისევ ადგილობრივ გლეხებს დაუცვიათ: „აქაური გლეხები რომ არ გასჩენოდნენ, უბედურება დაუტრიალდებოდათო“.

6 მარტს თიღვაში რამდენიმე სოფელი ერთად შეყრილა და ეკლესიის გალავანში დიდი ყრილობა ჩაუტარებიათ, რომელსაც 500-600 კაცი დასწრებია. გამოუყვანიათ მღვდელი თავის სახარებით ხელში, შეუფიცია ერთმანეთისთვის და დაუდგენიათ: 1) მღვდლის, მამასახლისისა და ქსენონის გადასახადები აღარ გაეღოთ; 2) მამული და ტყე საერთოდ გამოცხადებულიყო; 3) სასტიკი ბოიკოტი გამოეცხადებინათ თავად-აზნაურობისთვის.

ამის შემდეგ მოჯამაგირეები გაუთავისუფლებიათ, გარდა ამისა, აღუკვეთიათ ხიზნებისა და დროებით ვალდებული გლეხების გადასახადები: მუშის ფული, ტყის ფული, ღალები, ვიზედაც რა იყო დარჩენილი.

8 მარტს სოფელ ატოცში ხალხს მამასახლისისთვის ჯაჭვი აუყრია და კანცელარიის კარები დაულურსმია.

ბ-ებს (ბატონებს) პურის მცხობლები აღარ ჰყავთ, გამომცხვარს გორიდან ეზიდებიანო.

სოფლებში ა. ში, ბ.-ში, ს.-ში თავად-აზნაურობისთვის გამოუცხადებიათ, მოჯამაგირეებს ანგარიში გაუსწორეთ და დაითხოვეთო. „შიშის ზარმა მოიცვა ყველა, ყოველ სოფელში მოძრაობაა, ყრილობებია, თითქმის აღარავინ მუშაობს, დადიან აგიტატორები და ხალხს უფრო აღელვებენ“ - ვკითხულობთ ანგარიშში.

11 მარტს მთავარმართებლის განკარგულებით ხალხის დასამშვიდებლად დანიშნულა კომისია. სოფელ ხაშურში დაუბარებიათ ოქონის, ატოცის, ალის და დირბის საზოგადოებები. არ წასულან, „თუ საქმის გაგება უნდათ, ადგილობრივ მოვიდნენო“.

12 მარტს, ხალხის სურვილით, ხელახლა დაუბარებიათ გომში ყველა, მათ შორის თავად-აზნაურობა. სხვა საზოგადოებებისაგან განსხვავებით, ოქონისა და ატოცის საზოგადოებიდან მცირედნი მისულან. ყველა მხარეს თავისი მოთხოვნები ჰქონია, თუმცა გაზეთში ძირითადი ადგილი ოქონის საზოგადოების მოთხოვნებს ეთმობა, რომლებიც

ცხრამეტ პუნქტადაა ჩამოთვლილი. გლეხები ითხოვდნენ ნადელების (მიწის ნაკვეთი) მიღებას, ტყიდან „ძირ-ნაყარი“ ანუ გამხმარი ხეების უსასყიდლოდ გადაცემასა და ხეტყის მასალაზე ფასის დაკლებას, საძოვარებისა და „საწყლისპიროების“ საერთო საკუთრებად გამოცხადებას, იმ მამასახლისების თავიდან მოშორებას, ვინც ხალხზე არ იზრუნებდა, სარიტუალო მომსახურებისთვის (ჯვრისწერა, მიცვალებულისათვის წესის აგება) გადასახდელი თანხის შემცირებას, საავადმყოფოების მოწესრიგებასა და უსასყიდლოდ მომსახურებას, სკოლების დაარსებას, ადგილობრივ სასამართლოში საქმეების ყველასათვის გასაგებ, მშობლიურ ენაზე გარჩევას, სამხედროების საქართველოში სამსახურს („ჩვენი სალდათები შორს ცივ ქვეყნებში ნუ მიგყავთ, ჩვენს ქვეყანაში დაგვიტოვეთო“), „სტრაჟნიკების“ (დაბალი ჩინის პოლიციელი) მოსპობას, ცემატყეპის აღკვეთას („მოხელეები და მებატონეები მოგვექცნენ ზრდილობიანათ, ჩვენც ჩაგვთვალონ ადამიანებათ, პირუტყვები არა ვართო“), გლეხები მოითხოვდნენ ასევე თავისუფალი სჯა-ბაასისა და კრებების ჩატარების უფლებას, გზების შეკეთებასა და სოფლის სხვა მოთხოვნილებებში მებატონეების მონაწილეობას, თავადებისთვის უფლების შეზღუდვას - ცხენები და საქონელი გაეშვათ უმწყემსოდ, რაც ჭირნახულის წახდენასა და ვენახების მოოხრებას იწვევდა, მებატონეებისთვის, მოხელეებისა და მღვდლებისთვის წვრილმანი გადასახადების მოსპობას, პირველადი მოთხოვნილების საგნებზე: ნავთზე, მარილზე, შაქარზე, ფართალზე და ა.შ. აქციზის გაუქმებას...

კომისიას თავად-აზნაურობა ცალკე ოთახში გამოუკითხავს - როგორ უნდა დაემშვიდებინათ ხალხი და მოესპოთ არეულობა. ზოგს რეპრესიების გატარება მოუთხოვია, ზოგს ადმინისტრაციის მიმართ გამოუხატავს უკმაყოფილება, ზოგს სულაც თავი შეუკავებია აზრის გამოხატვისა და სასტიკი ზომების მიღებისაგან. ერთ-ერთის მოსაზრებით, რომელიც ერთგვარად ეხმიანება „ივერიის“ რედაქტორისეულ ჰუმანისტურ იდეებს, არეულობის მოგვარება მხოლოდ დროებით ვალდებული გლეხების ბატონყმური ნაშთებისგან დაუყოვნებლივ გათავისუფლებით უნდა მომხდარიყო, მათ უსასყიდლოდ უნდა გადასცემოდათ ნადელები, მიწა უნდა მიეღოთ ხიზნებსაც. მამულების გადაცემის საკითხი კი აგრარულ კომისიებს უნდა მოეგვარებინა (Legatus, 1909 ა: 2-3).

რადგან გომში დანიშნულ შეხვედრას ფრონის ხეობიდან მოსახლეობის მცირე ნაწილი დაესწრო, გლეხები ითხოვდნენ კომისიის ადგილზე - სოფლებში მისვლას და ხალხისთვის მოსმენას. კომისიას, პირველ რიგში, კნოლევში მოუსურვებია სტუმრობა.

13 მარტს კნოლევში ოქონის, ატოცისა და დირბის საზოგადოებებიდან დიდძალი ხალხი შეყრილა შეძახილებით - „ერთობას გაუმარჯოსო“. კომისია აგვიანებდა, შეკრებილი საზოგადოების ნაწილს გადაუწყვეტია მათთან თვითონ მისულიყვნენ. ავტორს მთელი სიცხადითაა აქვს გადმოცემული გლეხთა მოძრაობის ქაოტური ხასიათი, შეუთანხმებლობა, მომავლის ბუნდოვანება: „ზოგიც იძახის: - რას დაგვათრევენ კუდა ხარებივითო, ერთი ერთმანეთს ეჭიდებიან, უნდა წახვიდეო, სცემენ ერთმანეთს ჯოხებით და თან ერეკებიან სად, გომისკენ, ზოგი ვენახში იმალება, ზოგიც ხევებში, გარბიან უგზო უკვლოდ მინდორში დასამალავად, თან მისდევენ მოსაბრუნებლად, ერთი ჟრიამული და ვაი უშველებელი ისმის“ (Legatus, 1909 ბ: 3). მეამბოხეებს მოქადაგეები ფცაში დახვედრიან და გამოუცხადებიათ, ხვალ ატოცის წმინდა გიორგის ეკლესიაში შეიყარენით, კომისია ვაყელებმა აქეთ არ გამოუშვეს და გომში ტყუილად წახვალთო. კომისია კი თავის მხრივ თბილისში დაბრუნებულა, რასაც ხალხი უფრო აუღელვებია. ოქონის მამასახლისს ჯაჭვი აჰყარესო.

14 მარტს შეირაღებული ხალხი ატოცში დროშებით, ზურნა-დაფებით და თოფის სროლით შეხვედრია ერთმანეთს, დროშებზე წარწერა იყო: „გაუმარჯოს თავისუფლებას, ძირს თვითმპყრობელობავ“. აგიტატორებმა დაგმეს დაწვა, კაცის კვლა, ძარცვა-გლეჯვა.

თავად-აზნაურობა დაძაბული ყოფილა ამ ამბებით, - ვაი, თუ ღმერთი გაგვიწყრეს, ჩამოგვიარონ და ამოგვწყვიტონო. სამხრობისას ხალხი მშვიდობიანად დაშლილა, მაგრამ

რვა საათზე 12 შეირაღებულ კაცს ბერდანებით ხელში თავად-აზნაურთა ოჯახები ჩამოუვლიათ, იარაღი წაურთმევიათ და დამუქრებიან - ჯარი, ყაზახები არ მოითხოვოთო. დღის ბოლოს, 12 საათზე ოქონის საზოგადოების კანცელარიის ქაღალდები გამოუტანიათ და დაუწვიათ.

16 მარტს უკვე საგონებელში ჩავარდნილი მებატონეები შეხვედრიან ერთმანეთს. შეხვედრაზე მოსალაპარაკებლად ატოციდან მოუწვევიათ ასის თავი ვასო როსტომოვი (როსტომაშვილი) და სანდრო ფილიშვილი, ტომით ოსი, თავად ფ. თ.-ს ტყის ყოფილი ყარაული, რომელიც მემამულეებს უკვე თითის ქნევით და ბრძანებით ელაპარაკებოდა თურმე. ფილიშვილს მოჯამაგირეებისათვის გასამრჯელოს გაორმაგება მოუთხოვია, თუ არა და მოჯამაგირედ აღარავის დაგიყენებთო. „თავადები ამშვიდებდნენ, უყვავებდნენ“... როსტომაშვილი კი გლეხებთან შეერთებას ურჩევდა და ანუგეშებდა, თუ ასე მოიქცევით, შიში ნურავისი გექნებათო.

17 მარტს თავადებმა პროპაგანდისტებთან შუამავლები გაგზავნეს, რომლებიც თვითონაც შეშინებულნი ყოფილან ხალხის აზვირთებული ტალღების გამო. შუამავლებს მოუვლიათ ხვითი, საქაშეთი, ბრეთი, საღოლაშენი. ბრეთში და საღოლაშენში გლეხებისთვის ღალა მეათედად გაუიაფებიათ და სხვა წვრილმანი გადასახადები აღუკვეთიათ.

18 მარტს მებატონეებს ნახევარ ფასში გაუყიდიათ წლობით ნაამაგარი საქონელი, ოხრად დაუყრიათ შენობები, ბოსლები, ბეღლები და მეორე დღეს ფავლენიშვილები, ტატიშვილები, ამირეჯიბები, ბაგრატიონები, დიდებულიძეები, მუსხელაშვილები, ხერხეულიძეები თავიანთ სახლ-კარმიდამოს ტირილით გამოთხოვებიან, სოფელ გომისკენ ურემი ურემზე მიდიოდა ბარგი-ბარხანით და ცოლ-შვილითო. ქალაქ-ადგილებში გახიზნულ თავადებს სოფლელი გლეხის გოგონები „მუზიკით“ ხელში დასცინოდნენ და ფერხულს უმღეროდნენ: „კნიაზობა გადავარდა, სამოვარი ჩამქრალაო, კამეჩების არტალაო საკნიაზო გამხდარაო“. „თქვენმა მზემ, ეხლაც არ იკადრებთ, აი, პურის გამოცხობასო“ - მკვახედ მიუხლია ერდოდან მზირალ ერთ დედაკაცს ურმით ჩავლილ ქალბატონისთვის... მემამულეთაგან მხოლოდ რამდენიმე კაცი დარჩენილა სამკვიდროში, რომლებსაც გადაწყვეტილი ჰქონიათ ღამე ტყეში გაეთიათ.

ხეობაში ჩამოწოლილი იდუმალი შიში მცირედით დაურღვევია ას ყაზახს, რომლებსაც სიმშვიდის დასამყარებლად ფეხაკრეფით შემოუვლიათ ფრონის ხეობა და კნოლევის სასოფლო კანცელარიაში დაბინავებულან. თავადებს იმედი მისცემიათ - ჩვენი მხსნელები არიანო. ყაზახ ოფიცრებთან ერთად მოვლენების შუაგულში ყოფილა გორის მაზრის უფროსი გოგოხია.

20 მარტს თიღვაში მიტინგი უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ყაზახთა გამოჩენას ჩაუშლია. მაზრის უფროსს გამოძიება დაუწყია და გლეხებს სიმშვიდის სანაცვლოდ მთავრობასთან შუამდგომლობას და მოთხოვნების ასრულებას დაპირებია. თავადთა ნაწილი გულისწყრომის გამოთქმასაც ვერ ბედავდა თურმე, ნაწილი კი ადმინისტრაციასთან ასმენდა მოძალადეებს.

22 მარტს სოფელ ძვილეთში შეირაღებული პირები აზნაურ ტატიშვილებს დასხმიან თავს, აუწიოკებიათ და იარაღი წაურთმევიათ, იქიდან ოქონაში თავად ალ. ფ.-ს სახლ-კარს მისდგომიან, მძინარე მოხუცებული კაცი ტახტიდან გადმოუთრევიათ, უგინებიათ, უცემიათ და ძველი დაჟანგებული დამბაჩა წამოუღიათ. თავად ზ. ფ.-სთვის თოფი მოუთხოვიათ, ნაბადი წაურთმევიათ და ბევრი ამისთანა საქმის მერე კნოლევში ჩამოსულან.

25 მარტს ფცაში ბაგრატიონების მამულები გაუნაწილებიათ. ავლევში მებატონეების ვენახები და სახნავი მიწები მიუსაკუთრებიათ (Legatus, 1909 გ: 3).

მოვლენების პარალელურად თავად-აზნაურობაც გააქტიურებულა. 28 მარტს თავადების: ზ. ა.-ს; გ. მ.-ს; გ. ა.-ს; გ. ე.-ს და ა.კ.-ს მეთაურობით სოფელ წვერში

დაბინავებულა დიდგვაროვანთაგან შემდგარი სამხედრო რაზმი, რომელსაც მემამულეთა საკუთრება უნდა დაეცვა. მასში თითქმის მთელი გორის მაზრის თავადები ყოფილან გაერთიანებული. ბევრი ფიქრობდა, რომ ეს რაზმი დიდ ეროვნულ ძალად გადაიქცეოდა და საქართველოს გაათავისუფლებდა. რაზმში ზოგი პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ჩაწერილა, ზოგი შურისძიების მიზნით, ზოგი შიშით, რის გამოც „შავ რაზმად“ იქნა წოდებული. თავადები სუფთა, ევროპული გემოვნებით მორთულ ოთახებში დაბანაკებულან. თუმცა, ერთ-ერთი რაზმელის მონათხრობით, ვერც ისინი იცავდნენ თურმე ჰიგიენას: „ერთი კვირა დავრჩი იქ, მთელი შვიდი დღე გაუხდელი ვიყავი, საცა მომიხდებოდა, იქ წავწვებოდი; ამ ოთახებში მუდამ მტვერი იდგა, რაზმელების ბღლაძუნის და ჭიდაობისაგან მოსვენება არ იყო. ღამე ხომ მათი ღრიანცელისაგან არავის ეძინებოდა. დღე მათი გასართობი იყო გარეთ ხან ლეკური და ხან ჭიდაობა, თოფით ძალიან ნაკლებს ვარჯიშობდნენ. გონების მხრივ არავითარი მსჯელობა, არც გაზეთები ეინტერესებოდათ, თ.დ-აზნაურნი კი იყვნენ“ (Legatus, 1909 დ: 3).

21 აპრილს თავად-აზნაურობას მღვდელი მოუწვევიათ და ერთმანეთისთვის ერთგულება შეუფიციათ.

მაისში სოფელ ფცაში მცხოვრებ ლევან ამირეჯიბს ოთხი შეირაღებული მეამბოხე დასდგომია თავს: გლახიაშვილი, ზახოსაშვილი, თათაშვილი და ფილაშვილი. ბატონს სტუმრები სახლში მიუპატიჟია, სანაცვლოდ, თოფებს უგრიალია და ამირეჯიბი იატაკზე ხმა ამოუღებლად დაცემულა. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ მკვლელებს წინა ღამეს ერთ-ერთი თავადის სახლში უქეიფიათ.

თავადის დაკრძალვას 120 შავრაზმელი ცხენოსანი დასწრებია და ცხედრისთვის საპატიო ყარაული დაუყენებიათ. დაკრძალვის ცერემონიაზე ჯერ კიდევ ამაყად ფრიალებდა თურმე რაზმელთა დროშა წაწერით: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

5 ივნისს კნოლევში დღეობა ყოფილა - „გამართობა“. დღეობაში თავადებს უფრო ნაკლებად გამოუხატავთ სიხარული, ალბათ, აღარც ექნებოდათ ამის ხალისი... სამაგიეროდ, გლეხის კერა მხიარულობდაო...

ერთი თავადის სახლის აივანზე მისი ქალიშვილები მიდი-მოდიოდნენ თურმე. აივნის წინ ჩავლილი მთვრალი ახალგაზრდა გლეხები შეჩერებულან და წაუმღერიათ: „ღმერთმა ის დღე დაგვიყენოს, თავადის ქალი შეგვერთოს, დაგვეწვას და დაგვედაგოს“. შეშინებული ქალიშვილები ოთახში შეყუჟულან.

ამასობაში აქტიურობდა შავი რაზმიც, რომელიც სხვადასხვა ადგილზე იყო ლოკალიზებული, მათ შორის ერთხანს ოთარშენში.

25 ივნისს რაზმელები დაშლილან, ცალკე გამოსულა ფრონის ხეობის მეოთხე რაზმი და ორ სხვადასხვა სოფელში დაბანაკებულა.

რაზმელები ყოველღამე მორიგეობდნენ და ცხენებით უვლიდნენ სოფლებს, ამოწმებდნენ სიტუაციას, რაც მოსახლეობას სიმშვიდეს უკარგავდა და უნდობლობას აღვივებდა, მიუხედავად იმისა, რომ თავადიშვილები მათ საწინააღმდეგოს არაფერს აკეთებდნენ.

ბოლოს მაინც დასდგომია „მოლიპულ გზას“ „ფრონის რაზმი“; ატოცში მცხოვრებ სომხებზე განაწყენებულნი ვასო და ვანო როსტომაშვილების ოჯახებს დასცემიან თავს და დაურბევიათ. ეს პირველი შავრაზმული თარეში იყო, რასაც დიდ სირცხვილად თვლის წერილის ავტორი (Legatus, 1909 ე: 3).

ივლისში, გლეხების ბოიკოტის გამო მოსავალი რომ მოუმკელი არ დარჩენილიყო, თავად-აზნაურობა თვითონ გარჯილა: „გაათავებდნენ სამკალს ერთს სოფელში და, ვისიც რიგი იყო, მეორე სოფელში გადავიდოდნენ. მუშაობით, რა საკვირველია, რაც შეეხება სამკალსა, რის გაჭირვებით მუშაობენ უჩვეულნი, თავად-აზნაურები ყანას მაღლა სჭრიან;

ბევრს თითქმის ნახევრად წაუხდინეს სამკალი. წამდაუწუმ ჩ(რ)დილოებში მირბიან და სიმღერაში ატარებენ სამუშაო დღეებსა. ვისაც მუშაობა არ შეეძლოთ, დარბაისელნი სადილისათვის იყვნენ მომზადებულნი, საღვინით ღვინოებს წყაროებში აციებდნენ“ (Legatus, 1909 ე: 3).

ერთი სამწუხარო ამბავიცაა პუბლიკაციაში აღწერილი. შავ რაზმელებს მუშაობისას თოფი დაუკარგავთ, რომლის მოპარვაც კოტე ხერხეულიძისთვის დაუბრალებიათ - შენ მოიპარე, შე ასეთ-ისეთოო - უღრიალია დიდებულიძეს და მათრახი გადაურტყამს თავადისთვის, - ახლავე გამოაჩინე, ვიდრე დაგხვრეტავო. ნაცრისფერი გადაჰკვრია ხერხეულიძეს სახეზე, ცრემლი მოსდგომია, მაგრამ რას გააწყობდა. გაასამართლებინეს „მოსამართლეებს“ და გაროზგვა გამოუტანეს სასჯელად. გამოიყვანეს ეზოში, გაახდევინეს სამოსი, დააგდეს პირქვე და ურტყეს უმოწყალოდ ტანზე მათრახი. „შემდეგ დ. დიდებულიძე დაჰკრავს სხვილ მათრახს ზედიზედ, ხერხეულიძე დაიკლაკნება და ბეჭები სისხლით შეიღებება“. უხერხულობას იგრძნობს ყველა, მაგრამ გამოსარჩლებლად ვაჟკაცობა აღარ ეყოფათ.

ნეტა მოსამართლეობაზე არ დავთანხმებულიყავითო - წუხდნენ თურმე განაჩენის გამომტანნი, მაგრამ რაღა დროს...

რთულია იმ სურათების წარმოდგენა, რასაც „ივერიის“ ფურცლებიდან ვეცნობით. ცოდვის კალო დატრიალებულა ყველგან. თავადი თავადს არ ინდობდა, გლეხი - გლეხს, ადამიანური ურთიერთობების ყველა ხიდი ჩაეტეხა შურისძიების განცდას. მტრობა და სიძულვილი გამეფებულიყო XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში.

თითქოს და ამ ცოდვების გამოსასყიდად, ერისა და ბერის გამოსაფხიზლებლად, მძიმე ნაბიჯებით უახლოვდებოდა წიწამურს ილია ჭავჭავაძე.

დასკვნა. გაზეთ „ივერიაში“ ფრონის ხეობის სოფლების შესახებ გამოქვეყნებული პუბლიკაციები მნიშვნელოვანი წყაროა ამ უძველესი ქართული კუთხის წარსულის წარმოსაჩენად.

ფრონის ხეობის მოსახლეობის ძირითადი საქმიანობა მემინდვრეობას უკავშირდებოდა და მათი ეკონომიკური ყოფის განმსაზღვრელი სწორედ მარცვლეული კულტურებიდან მიღებული მოსავალი გახლდათ. ფრონისპირელი თავადისა თუ გლეხკაცისთვის უმთავრესი საფიქრალი მოწეული ჭირნახულის მოვლა-პატრონობა და დაბინავება იყო.

ფრონის ხეობის მცხოვრებთა წინაშე განსაკუთრებული სიმწვავით იდგა სწავლა-აღზრდის საკითხი და სასწავლებლების არქონა. გლეხები სკოლებთან ერთად საავადმყოფოების გახსნას ითხოვდნენ, რადგან გორის მაზრაში არაერთი დაავადება იყო გავრცელებული, მათ შორის ქოლერა, რომელიც ხშირად ტრაგიკული შედეგებით სრულდებოდა.

ყაჩაღთა საბუდრად გადაქცეულ ოქონის საზოგადოების სოფლებს არანაკლებ აწუხებდა მძარცველთა თარეში, რომლებიც არც თავადს ინდობდნენ, არც მღვდელს და არც უბრალო გლეხებს.

XX საუკუნის დასაწყისში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, ფრონის ხეობაშიც მძიმე შედეგები მოჰყვა აგრარულ მოძრაობას, რომელმაც სხვადასხვა სოციალური ფენები ერთმანეთთან დააპირისპირა და სისხლისღვრამდე მიიყვანა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

დვანელი. (1910). მდინარე ფრონის ხეობა. *სახალხო გაზეთი.* №88, 21 აგვისტო.

დუშიკო. (1899). წერილი ფრონის ხეობიდგან (ქართლი). *ივერია.* №221, 14 ოქტომბერი.

დუშიკო (1903). ფრონის ხეობა. *ივერია.* №106, 19 მაისი.

ზაქარიძე, ს. (1875). ქ. გორი, 8 თებერვალს. *დროება.* №20, 14 თებერვალი.
ივერია. (1890)ა. ფრონის ხეობა. №167, 4 აგვისტო.
ივერია. (1890)ბ. ქართლი. №167, 4 აგვისტო.
ივერია. (1890)გ. ქართლი. №27, 4 თებერვალი.
ივერია. (1890)დ. სოფელი ოქონა (ქართლი). №27, 4 თებერვალი.
ივერია. (1890)ე. ფრონის ხეობა. №168, 5 აგვისტო.
ივერია. (1890)ვ. *ახალი ამბავი.* №105, 23 მაისი.
ივერია. (1890)ზ. სოფელი ზემო ნიქოზი (ქართლი). №105, 23 მაისი.
ივერია. (1891). სოფელი საღოლაშენი (გორის მაზრა). №199, 19 სექტემბერი.
ივერია. (1892)ა. ახალი ამბავი. №168, 9 აგვისტო.
ივერია. (1892)ბ. ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ. №168, 9 აგვისტო.
ივერია. (1893 ა). სოფელი ოქონა (გორის მაზრა). №199, 3 ივლისი.
ივერია. (1893 ბ). სოფელი წვერი (ქართლი). №222, 16 ოქტომბერი.
ივერია. (1894 ა). სოფელი დირბი (ქართლი). №105, 20 მაისი.
ივერია. (1894 ბ). სოფელი მოხისი (ქართლი). №105, 20 მაისი.
ივერია. (1897). სოფელი ოქონი (გორის მაზრა). №105, 31 მაისი.
კავკაველი, შ. (1898)ა. წერილი ფრონის ხეობიდგან. *ივერია.* №130, 20 ივნისი.
კავკაველი, შ. (1898)ბ. ფრონის ხეობა. *ივერია.* №161, 29 ივლისი.
ლ. ე. (1894). სოფელი ბრეთი (ქართლი). *ივერია.* №168, 6 აგვისტო.
მამამთავრიშვილი, რ. (1875). იკოთი, 23 თებერვალს. *დროება.* №31, 14 მარტი.
მოხევე. (1897). წერილი ქსნის ხეობიდგან. *ივერია.* №247, 29 ნოემბერი.
ფრონელი, ა. (1891). ფრონის ხეობა. *ივერია.* №224, 22 ოქტომბერი.
ფრონისპირელი, ვ. (1899). სოფელი ნული (გორის მაზრა). *ივერია.* №222, 15 ოქტომბერი.
ქსნელი. (1910). ქსნის ხეობა (დუშეთის მაზრა). *სახალხო გაზეთი.* №55, 13 ივლისი.
ქსოვრელი. (1898). სოფელი ქსოვრისი (დუშეთის მაზრა). *ივერია.* №89, 29 აპრილი.
Legatus. (1909)ა. აგრარული მოძრაობა ზემო ქართლში. *ივერია.* №12, 23 მარტი.
Legatus. (1909)ბ. 1905-1907 წლების აგრარული მოძრაობა ზემო ქართლში. *ივერია.* №14, 6 აპრილი.
Legatus. (1909)გ. 1905-1907 წლების აგრარული მოძრაობა ზემო ქართლში. *ივერია.* №15, 13 აპრილი.
Legatus. (1909)დ. 1905-1907 წლების აგრარული მოძრაობა ზემო ქართლში. *ივერია.* №19, 11 მაისი.
Legatus. (1909 ე). 1905-1907 წლების აგრარული მოძრაობა ზემო ქართლში. *ივერია.* №25, 22 ივნისი.

REFERENCES

dvaneli. (1910). mdinare pronis kheoba [Fron river gorge]. *sakhalkho gazeti [Sakhalkho gazeti].* №88, 21 agvist'o.
dushik'o. (1899). ts'erili pronis kheobidgan (kartli) [Letter from the fron valley (Kartli)]. *iveria [Iveria].* №221, 14 okt'omberi.
dushik'o (1903). pronis kheoba [Fron valley]. *iveria [Iveria].* №106, 19 maisi.
zakaridze, s. (1875). k. gori, 8 tebervals [City oh Gori on February 8]. *droeba [Droeba].* №20, 14 tebervali.
iveria [Iveria]. (1890)a. pronis kheoba [Fron valley]. №167, 4 agvist'o.
iveria [Iveria]. (1890)b. kartli [Kartli]. №167, 4 agvist'o.
iveria [Iveria]. (1890)g. kartli [Kartli]. №27, 4 tebervali.

iveria [Iveria]. (1890)d. sopeli okona (kartli) [Village of okona (Kartli)]. №27, 4 tebervali.
iveria [Iveria]. (1890)e. pronis kheoba [Fron valley]. №168, 5 agvist'o.
iveria [Iveria]. (1890)v. akhali ambavi [News]. №105, 23 maisi.
iveria [Iveria]. (1890)z. sopeli zemo nikozi (kartli) [Village of Zemo Nikozi (Kartli)]. №105, 23 maisi.
iveria [Iveria]. (1891). sopeli sagholasheni (goris mazra) [Village of Sagolasheni (Gori region)]. №199, 19 sekt'emberi.
iveria [Iveria]. (1892)a. akhali ambavi [News]. №168, 9 agvist'o.
iveria [Iveria]. (1892)b. opitsialuri tsnobani kholeris shesakheb [Official information about kolera]. №168, 9 agvist'o.
iveria [Iveria]. (1893 a). sopeli okona (goris mazra) [Village of Okona (Gori region)]. №199, 3 ivlisi.
iveria [Iveria]. (1893 b). sopeli ts'veri (kartli) [Village of Tsveri (Kartli)]. №222, 16 okt'omberi.
iveria [Iveria]. (1894 a). sopeli dirbi (kartli) [Village of Dirbi (Kartli)]. №105, 20 maisi.
iveria [Iveria]. (1894 b). sopeli mokhisi (kartli) [Village of Mokhisi (Kartli)]. №105, 20 maisi.
iveria [Iveria]. (1897). sopeli okoni (goris mazra) [Village of Okoni (Gori region)]. №105, 31 maisi.
k'avk'aveli, sh. (1898)a. ts'erili pronis kheobidgan [Letter from the Fron valley]. *iveria [Iveria]*. №130, 20 ivnisi.
k'avk'aveli, sh. (1898)b. pronis kheoba [Fron valley]. *iveria [Iveria]*. №161, 29 ivlisi.
l. e. (1894). sopeli breti (kartli) [Village of Breti (Kartli)]. *iveria [Iveria]*. №168, 6 agvist'o.
mamamtavrishvili, r. (1875). ik'oti, 23 tebervals [Ikoti on February 23]. *droeba [Droeba]*. №31, 14 mart'i.
mokheve. (1897). ts'erili ksnis kheobidgan [Letter from the Ksani valley]. *iveria [Iveria]*. №247, 29 noemberi.
proneli, a. (1891). pronis kheoba [Fron valley]. *iveria [Iveria]*. №224, 22 okt'omberi.
pronisp'ireli, v. (1899). sopeli nuli (goris mazra) [Village of Nuli (Gori region)]. *iveria [Iveria]*. №222, 15 okt'omberi.
ksneli. (1910). ksnis kheoba (dushetis mazra) [Ksani gorge (Dusheti district)]. *sakhalkho gazeti [Sakhalkho gazeti]*. №55, 13 ivlisi.
ksovreli. (1898). sopeli ksovrisi (dushetis mazra) [Village of Ksovris (Dusheti region)]. *iveria [Iveria]*. №89, 29 ap'rili.
Legatus. (1909)a. agraruli modzraoba zemo kartlshi [Agrarian movement in Zemo Kartli]. *iveria [Iveria]*. №12, 23 mart'i.
Legatus. (1909)b. 1905-1907 ts'lebis agraruli modzraoba zemo kartlshi [The agrarian movement of 1905-1907 in Zemo Kartli]. *iveria [Iveria]*. №14, 6 ap'rili.
Legatus. (1909)g. 1905-1907 ts'lebis agraruli modzraoba zemo kartlshi [The agrarian movement of 1905-1907 in Zemo Kartli]. *iveria [Iveria]*. №15, 13 ap'rili.
Legatus. (1909)d. 1905-1907 ts'lebis agraruli modzraoba zemo kartlshi [The agrarian movement of 1905-1907 in Zemo Kartli]. *iveria [Iveria]*. №19, 11 maisi.
Legatus. (1909 e). 1905-1907 ts'lebis agraruli modzraoba zemo kartlshi [The agrarian movement of 1905-1907 in Zemo Kartli]. *iveria [Iveria]*. №25, 22 ivnisi.